i1-8:Layout 1 2/17/2009 10:55 AM Page 1

ქართველობის გადასარჩენად

ილორი plus

№ 71 თებერვალი 2009 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ჩვენი აფხაზეთი"

ვემზადებით დევნილთა ყრილობის ჩასატარებლად, რომელიც გაიმართება 2009 წლის 14 მარტს, 14 საათზე, ქალაქ თბილისში, ვერის პარკში მდებარე კალათბურთის სასახლეში (კოსტავას 44)

ბატონი ჯემალ საჯაია მოგიწოდებთ:

– მალე სხვების გამოსახლების ჯერიც დადგება!

– დევნილები უნდა გავერთიანდეთ და წინ აღვუდგეთ ხელისუფლების გულგრილობასა და თვითნებობას!

– შინ დაბრუნებამდე ვიცხოვროთ ღირსებით!

– ნუ მოვატყუებინებთ თავს ხელისუფლებას!

იმის გამო, რომ აფხაზეთიდან დევნილები არაადამიანურ პირობებში ცხოვრობენ და ეს დიდად არ აღელვებს ხელისუფლებას, იმის გამო, რომ წყნეთიდან 5.000 დევნილს უპირებენ გამოსახლებას, უკვე შვიდი დღეა დაბა წყნეთში შიმშილობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯემალ საჯაია.

რა უხარიათ?..

უხარიათ კი არა, ლამის ჭკუაზე გადავიდნენ. იცით რატომ? მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მალე დაამხობს რუსეთსო.

ვაი, ჩვენს პატრონს, უბედურს!

სულ ახლახან რუსეთი ერთადერთ ენერგოპარტნიორად გავიხადეთ, როცა სხვა ჰესებთან ერთად **"ენგურჰესის"** მართვის სადავეებიც ჩავაბარეთ. სიხარულისაგან ადგილს ვერ ვპოულობდით – სახელმწიფოს დამატებითი შემოსავლები გაუჩნდებაო. თქვე დალოცვილებო, რუსეთის იმედი თუ გასულდგმულებთ, მისი დაქცევა და დანგრევა რატომ გიხარიათ?

ამაზეა ნათქვამი: ვერ გაიგებ, სულელს რა სწყინს და რა უხარიაო.

ჩვენი ხელისუფლება ახლა დიდ დროს ანდომებს იმის განმარტებას, თუ **"ენგურჰესის"** რუსეთისათვის სამართავად გადაცემით როგორ გაიხარეს რუსებმა და როგორი წყენა დაეუფლათ აფხაზებს. თან ამას ისეთი პათოსით გვიხსნიან, თითქოს აფხაზები ჩვენი დაუძინებელი მტრები იყვნენ, რუსები კი ჩვენი ასევე დაუძინებელი მოკეთეები.

"ენგურჰესის" რუსებისათვის გადაცემა, აფხაზებთან მიმართებაში ხომ ისევე მძაფრ უარყოფით რეაქციას გამოიწვევს, როგორი რეაქციაც ოსების მხრიდან გამოიწვია შიდა ქართლის მაშინდელი გუბერნატორის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ერგნეთის ბაზრობის დახურვამ, სადაც ერთობლივმა ბიზნესმა იმდენად დაახლოვა ერთმანეთს ქართველები და ცხინვალელი ოსები, რომ წლების წინ პროვოკატორთა მიერ წამოწყებული კონფლიქტი საერთოდ აღარავის ახსოვდა და ქართველები რაჭის მიმართულებით თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ცხინვალის გავლით.

ახლა კი ყველაფერს კოკოითს ვაბრალებთ, რომ, სწორედ მან წამოიწყო მეორე ომი ოსებსა და ქართველებს შორისო. ნამდვილად, კოკოითმა დაიწყო ეს ომი, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ რუსებმა წააქეზეს საამისოდ, შემდეგ კი კოკოითი განზე გასწიეს და თავად შეუდგნენ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების დაბომბვას.

სერგეი ბაღაფშსაც ბევრ ისეთ უბედურებას ვაბრალებთ, რომლის დიდი წილი სწორედ რუსეთის მმართველებზე მოდის. რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების არც თუ სახარბიელო როლს ამ საქმეში, ეს სახალხო დიპლომატიის სრული იგნორირებით დასტურდება.

მოდი და ამის შემდეგ ირწმუნე, რომ ჩვენი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს მართლაც უნდა აფხაზეთის დაბრუნება.

2009 წლის 23 იანვარს მიხეილ სააკაშვილმა თავის ვრცელ ტელეინტერვიუში იმაზე საუბარსაც დაუთმო დიდი დრო, რომ საქართველოში შეზღუდული არ არის სიტყვის თავისუფლება. აქ აუცილებლად მიგვაჩნია შევახსენოთ ხელისუფლებას, რომ **პრესის თავისუფლება** ნიშნავს არა მხოლოდ მასმედიაში ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე შექმნილი წერილების დაბრკოლების გარეშე გამოქვეყნებას, არამედ გამოქვეყნებულ მასალებზე ხელისუფლების ობიექტურად რეაგირებასაც. სხვაგვარად, **პრესის თავისუფლება** ემსგავსება **"ძლიერთა ამა ქვეყნისა"** ცინიკურ გამოძახილს: **"წერე და იკითხე!"**

თვალშისაცემია ისიც, რომ, ხელისუფლებისა და **"ელიტარული"** საზოგადოების ზოგი წარმომადგენელი **"ხბოს აღტაცებას"** ვერ მალავს იმის გამო, რომ მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა წელში გატეხა რუსეთი და იგი მალე ალბათ საერთოდ დაინგრევაო.

ჯერ ერთი, რუსეთი ისე არ გადაშენდება მიწის პირიდან, რომ საქართველოს რამდენჯერმე დასათრგუნი სამხედრო და პოლიტიკური ძალა არ დატოვოს. მეორეც, როცა ამერიკაში ტერორისტებმა სავაჭრო ცენტრის ტყუპი შენობები დაანგრიეს, ნანგრევებმა ქვეშ დაიტანეს მომიჯნავე შვიდი შენობაც, რომელთა დანგრევა აშკარად არ შედიოდა ოსამა ბინ ლადენის გეგმაში (ამის თაობაზე თავად გაგვიმხილა ტელეფონით). ასე რომ, როცა შენს მეზობლად გრანდიოზული ნაგებობა ინგრევა, არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ შენც ამ ნანგრევებში მოჰყვე. იქნებ ის არ იციან, ამას წინათ გაზეთმა **"ნიუ იორკ ჰერალდ ტრიბუნმა"** რომ დასწერა – საქართველოს მიღება ნატოში არ შეიძლება. მას ისეთი გაუწონასწორებელი პრეზიდენტი ჰყავს, რომ გამორიცხული არ არის, რომელიმე ზესახელმწიფოს ჩვენთან შეთანხმების გარეშე ომი გამოუცხადოს. ეს კი დიდ საფრთხეს შეუქმნის მსოფლიოსო.

ამიტომ გვინდა უდროოდ და უადგილოდ გახარებულებს შევახსენოთ ერთი კუპლეტი ჩვენი სასიქადულო პოეტის მუხრან მაჭავარიანის ლექსიდან:

ვინც გინდა იყავ,
გინდ არქიფო და გინდა ზაქრო,
რა გიხარია, შე შობელძაღლო!

i1-8:Layout 1 2/17/2009 10:55 AM Page 2

ადამიანთა სევდა

ლტოლვილი

გურამ ოდიშარია

აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მწერლის გურამ ოდიშარიას შემოქმედებას კარგად იცნობენ წიგნის მოყვარულები. ამჯერად გთავაზობთ ბატონი გურამის მოთხრობას



განა – იძულებით ადგილნაცვალი პირი, განა – დევნილი, განა – დროებით გადაადგილებული, ან კიდევ სხვა, ოფიციალური თუ არაოფიციალური სახელი, არამედ – ლტოლვილი! სახელი, რომლითაც მას იცნობს საზოგადოება და ყოველდღიურ საუბრებში მოიხსენიებს, რომელიც შეარქვა, რომელიც პოპულარულია მისთვის, რომელიც გახდა დამღა – ამოტვიფრული მის სულში და თვალისთვის უჩინარი ბეჭედი – სამუდამოდ ჩარტყმული მისი ცხოვრების უვადო პასპორტში.

ლტოლვილი და მხოლოდ ლტოლვილი! მის სხვა სახელთაგან ზოგი ხელოვნურია, ზოგი ზედმეტად ხელოვნური, ზოგი უნიჭოდ მოკეკლუცე, ზოგიც იურიდიულად მძიმე, დახლართული და ყალბი. ყველა სხვა სახელი ტყუის და მხოლოდ "ლტოლვილი" არ გდალატობს, ის ისევე რეალურია, როგორც ცხოვრება, ბუნებრივი, როგორც მზე, წვიმა, ვარსკვლავები, და უკვე – მშობლიურიც.

1992 წლის დამლევს, როდესაც ჩემი წიგნი **"დევნილთა უღელტეხილი"** დაისტამბა, მე ის **"დევნილად"** მოვიხსენიე, ის, ანუ იგივე, საკუთარი თავიც, რადგანაც მეც, ამ სტრიქონების ავტორიც, ლტოლვილი ვარ.

"დევნილი" უფრო ბიბლიურია, ძველთუძველესი ჟღერადობის და ის ომი, რომელიც აფხაზეთს დაატყდა თავს, ის სიცოცხლე და ის სიკვდილი, რომელიც აფხაზებმა, ქართველებმა, რუსებმა, სომხებმა, უკრაინელებმა, ესტონელებმა, ბერძნებმა, ებრაელებმა თუ სხვებმა და სხვებმა რომ გადაიტანეს, ის უღელტეხილი, რომელიც გადალახეს ომს გარიდებულებმა და ბევრი სხვა რამ, ბიბლიური ტრაგედიების ასოციაციებს ბადებდა და მაშინ ლტოლვილს უფრო **"დევნილი"** მიესადაგებოდა. ამის გარდა, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, ვერ გავრკვეულიყავით, ვინ გაგვხადა ბედისწერამ, საიდან მოვდიოდით, საითკენ მივდიოდით და რა გველოდა. მაშინ, ლტოლვილს ჯერ არ ეძახდნენ **"ლტოლვილს"**, არც **"დევნილს"**, არც **"იძულებით გადაადგილებულ პირს"!**

ისე, ამდენი წლის შემდეგ დღესაც მეშლება – როდესაც რომელიმე სხვა ქალაქიდან თბილისისაკენ მივემგზავრები ხანდახან, უნებურად, მშობლიური ქალაქის სახელს ვამბობ – სოხუმში მივდივარ-მეთქი.

ამის გარდა, ერთ რამესაც დავაკვირდი – ქალაქი სადაც ყოველთვის სადღაც მიგეჩქარება, ვერასოდეს გახდება შენი ქალაქი. მე კი, თბილისში, დრო არასოდეს მყოფნის და სულ სადღაც გავრბივარ, ხანდახან თავქუდმოგლეჯილიც.

კიდევ ერთი რამ – ადამიანი მხოლოდ საკუთარ ქალაქში ამბობს სიტყვას **"მოვედი"**. მე ვიცნობდი ძალიან ბევრ ლტოლვილს, რომლებიც ისე წავიდნენ ამ ქალაქიდან, რომ ვერა და ვერ თქვეს ის ნანატრი **"მოვედი"**.

ომის დაწყების დღიდან თითქმის ჩვიდმეტი წელია გასული, დამთავრებიდან კი – თითქმის თექვსმეტი. ლტოლვილთა ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა, ის ისეთივე ლტოლვილია, როგორიც იყო. არც მის გარშემო შეცვლილა მაინც და მაინც რამე – მის ირგვლივ უამრავი არალტოლვილი, მაგრამ ლტოლვილის ფსიქოლოგიით მცხოვრები ადამიანია. ასეც ხდება თურმე – შეიძლება მშობლიურ სახლში ცხოვრობდე, მაგრამ ლტოლვილი იყო.

არიან ადამიანები ლტოლვილები სხვებისთვის.

არიან ადამიანები ლტოლვილები საკუთარი თავისთვის.

ასეა, ურთულეს დროში ვცხოვრობთ, უამრავი რამ გადასაფასებელია და თავიდან საკვლევი, შესასწავლი.

დიახ, ლტოლვილი ლტოლვილად რჩება, მის ცხოვრებაში თითქმის არაფერი შეცვლილა, მაგრამ ლტოლვილი დღეს მაინც ისეთი არ არის, როგორიც იყო – ის არ არის დღეს ისეთი მარტივი, უწინ რომ წარმოგვედგინა, ის დღეს ვერა და ვერ ეტევა ძველი სტერეოტიპების არტახებში.

ადამიანი ბუნებით ზარმაცია, მას არ სურს გამოწვლილვითი ანალიზი, ის აერთიანებს ცნებებს, რათა გაიადვილოს აზროვნება, ამარტივებს არგუმენტებს. თუ ერთ დროს თავისი მსჯელობის რომელიმე თაროზე თავისი რომელიმე ფორმულა ჩამოსდო, მერე მას ძალზე იშვიათად გადაადგილებს. ადამიანთა უმრავლესობას შეუძლია მთელი ცხოვრება ძველი ფორმულებით ისაზრდოოს. ეს მისი კომფორტული მდგომარეობაა.

ყველაზე მეტად დღეს ჩვენ, ყველას, შემოქმედებითი ხედვისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარის გაზარმაცება გვჭირს. ამიტომაა, რომ ძალიან ცოტა რამ იცვლება ჩვენს გარშემო, ზარმაცად ბრუნავს ჩვენთვის პლანეტა და დრო ველის მდინარესავით უჩუმრად მიედინება. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, გაიხედავ და, აღმოაჩენ, რომ დიდი დრო გასულა, რომ დაბერებულხარ, რომ ცხოვრების საათის ისარი ციტნოტის ნიშანს მიუახლოვდა.

* * *

ახლა სულ რამდენიმე მინი-ისტორია ლტოლვილის ცხოვრებიდან. ამ ისტორიებს იმისათვის კი არ ვწერ, რომ ვინმეს თანაგრძნობის ცრემლი მოვგვარო, არამედ იმიტომ, რომ ამ სტრიქონების მკითხველს, ისევე როგორც საკუთარ თავსაც, ერთხელ კიდევ შევახსენო ზოგი რამ. ამის გარდა, დღეს ცრემლისა და სენტიმენტალობის, ენის მოჩლექის დრო კი არ არის, არამედ გამოსავლის, ხსნის გზების ძიების დროა.

შევეცდები ლაკონური ვიყო.

ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, ერთ ჩემს ნაცნობ პროფესორს სოჭში მოუწია ცხოვრება. მატერიალურად ძალიან უჭირდა და ბოთლებს აბარებდა მიმღებ პუნქტებში. ერთხელაც მას ქუჩაში სოხუმელებისათვის კარგად ნაცნობი მხიარული კაცი (გიუს ვერ ვაკადრებ), სოჭში სოხუმიდან ერთი დღით ჩასული მარადონა შეხვდა. მარადონამ ჯიბიდან რუსული 5.000-იანი კუპიურა ამოიღო და პროფესორს ჩაუდო ხალათის ჯიბეში, თან უთხრა – მახსოვს, შენ ფულს მჩუქნიდი სოხუმში, ახლა შენ ლტოლვილი ხარ, მინდა დაგეხმაროო. როდესაც მარადონა წავიდა, პროფესორმა ცარიელი ბოთლებით სავსე ტომარა მიწაზე დადო და აქვითინდა – საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ლტოლვილი გამხდარიყო.

ერთხელ, თბილისში, ერთ-ერთ პოპულარულ გაზეთში ასეთი **განცხადება დაიბეჭდა – "ვარ 35 წლის, ლამაზი, მაღალი, ლურჯთვალება ქალბატონი, მყავს 10 წლის შვილი, მაქვს ბინა და მანქანა, ვეძებ მამაკაცს, რომელიც მეუღლეობას გამიწევს..."** და ასე შემდეგ. განცხადება მთავრდებოდა შემდეგი წინადადებით – **"მელოტები, დაბლები და ლტოლვილები ნუ გამომეხმაურებიან".**

მახსენდება ერთი საგაზეთო განცხადებაც, რომელსაც რამდენიმე მოქალაქე აწერდა ხელს, თითეული მათგანის სახელისა და გვარის ქვეშ მინიშნებული იყო მისი პროფესიაც – ექიმი, ინჟინერი, მასწავლებელი... და მხოლოდ ერთი მათგანის სახელი და გვარი იყო გამორჩეული, ის მოხსენიებული იყო არა პროფესიის მიხედვით, არამედ, როგორც **"ლტოლვილი"**.

ერთხელ თბილისში, ელიავას ბაზრობაზე, ვნახე, თუ როგორ ჰყიდდა ლტოლვილი ქალი ყველჩახარშულ ღომს. ის დახლებს შორის მოდიოდა, ხელში ღომდაგებული თეფშებით სავსე დიდი სინი ეჭირა და იძახდა – **"შევარდნაძე, შენი ცოლი ვნახე ასე, ჩემსავით ღომს რომ ყიდდეს ბაზარში".**

ომის შემდეგ დედაჩემი აბაშის რაიონში, მშობლიურ სოფელში დასთან ცხოვრობდა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ერთხელ, ჩემი იქ ყოფნისას, მეზობლის გოგონამ მოგვინახულა. საუბრისას მან თქვა – ახლა ქუჩაში ლტოლვილი შემხვდა. დავინტერესდი იმ ლტოლვილით, რომელიც იმავე სოფლის მკვიდრი აღმოჩნდა, ომამდე, სულ ხუთიოდე წლით ადრე საცხოვრებლად აფხაზეთში გადასულიყო. ომის შემდეგ კვლავ მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და სოფლის ბოლოს სახლკაი აიშენა, მაგრამ მთელი სოფელი დღესაც ლტოლვილს ეძახის, მისი სახელიც ცოტამ იცის. არადა სულ ხუთი წლით დატოვა სოფელი.

ომის შემდეგ ჩემი ერთი მეგობარი, აწ გარდაცვლილი, ძირძველი სოხუმელი, თამაზ კვარაცხელია თბილისში თავის საკუთარ ბინაში ჩაიკეტა, მხოლოდ სოხუმელი ლტოლვილების დაკრძალვის დროს გამოდიოდა ხოლმე სახლიდან, და იქ მისულ თანაქალაქელებს მალულად იღებდა ფოტოაპარატით. შემდეგ თავის ჩაკეტილ ბინაში იმ სურათზე აღბეჭდილ სოხუმელებს შორის ცხოვრობდა. ასე გრძელდებოდა მისი ლტოლვილობა წლების განმავლობაში. ის ერთ-ერთი ახალგაზრდა სოხუმელი კაცის დასაფლავების დროს მოკვდა, ლტოლვილებს შორის დალია სული.

აღდგომის ერთი დილა მახსენდება: ლტოლვილმა ქალმა სასაფლაოსკენ მიმავალი უცნობი თბილისელი ქალბატონი შეაჩერა, სანთელი გადასცა და სთხოვა – **"თქვენი გარდაცვლილების საფლავზე დაანთეთ და ჩემი გარდაცვლილები იგრძნობენო".** კიდევ **"პასკა"** და შეღებილი კვერცხები გააყოლა.

ერთ ოჩამჩირელ ლტოლვილ ქალს ვიცნობ, რომელიც იმ ხილს, ოჩამჩირეში, ეზოში რომ ხარობს, პირს არ აკარებს. ის ასე უცხადებს პროტესტს ბედის უკუღმართობას.

ჩემი ახლობელი დღესაც საავადმყოფოში ოჯახთან ერთად ცხოვრობს. მისი ოთახი სარეანიმაციოს გვერდითაა და მისი ბავშვები კვირაში რამდენჯერმე ხდებიან უცნობი ადამიანების სიკვდილის მოწმე. დღეს ისინი საავადმყოფოს უცვლელი ჭირისუფლები არიან.

ჩემს რვეულებში მსგავსი ასობით ისტორია მაქვს ჩაწერილი.

ლტოლვილს ნებისმიერ საუკუნეში და ნებისმიერ ქვეყანაში დისკომფორტი შეჰქონდა, მისი სიმრავლე ადრე სისხლისმღვრელ კონფლიქტამდე მკვეთრად ცვლიდა ამა თუ იმ რეგიონში გაცილებით ადრე არსებულ წესსა და რიგს (გაიხსენეთ თუნდაც შუა საუკუნეების იტალია).

ნებისმიერი დროის ლტოლვილების ცხოვრება ხშირად წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს სულიერი განცდებით, ფსიქოლოგიური ფორიაქით, სასოწარკვეთილი მდგომარეობის ძლევის, ცხოვრების განახლების, ღირებულებათა გადაფასების უნარით.

ლტოლვილს ბევრ ადამიანზე გაუტყდა გული – ნათესავზე, მოკეთეზე, ახლობელზე... და ამავდროულად, ტრაგედიის, დიდი დეპრესიის პერიოდში ბევრი მეგობარი, საიმედო, კეთილშობილი ადამიანი შეიძინა.

ვცდილობ გაევრკვე, რაზომ ეჯავრება ამ ხელისუფლებას საკუთარი ხალხი

მწერალი გივი ჯახუა ერთ-ერთი იმ ჭეშმარიტ პატრიოტთაგანია, რომლებიც, მადლობა უფალს, ჯერ კიდევ შემორჩნენ საქართველოს, მისი შემოქმედებითი საქმიანობა ორმოცდაათი წლის წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება. იგი საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირის წევრია, ხელმძღვანელობს ქვემო ქართლის მწერალთა ასოციაციას "რუსთაველს" და მის მერ დაფუძნებულ გაზეთ "სამშვილდეს".

– ბატონო გივი, მოდით, ინტერვიუ თქვენი ლიტერატურილი მოღვაწეობის შესახებ საუბრით დავიწყოთ...

– ქვეყანაში იმდენი პრობლემაა, რომ დღეს ჩვენს შემოქმედებაზე ნუ ვისაუბრებთ.

ამ ხელისუფლებამ ყოველივე ეროვნული ჩაკლა, ხელოვნება და კულტურა საბოლოოდ "ჩარეცხა".

მწერლობა წინა საუკუნეში ჭეშმარიტად იყო ერის სულიერი წინამძღოლი. ახლა სხვა სიტუაციაა. მე ჟურნალისტი ვარ. თითქმის ორი ათეული წელიწადი ვიმუშავე საქართველოს ტელემაუწყებლობის რუსთავის ზონის კორესპონდენტად. მერე იქაურობა დაარბიეს, გარეთ გამოგვყარეს. მაშინ გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" იმჟამინდელმა რედაქტორმა არმაზ სანებლიძემ თავისი ოჯახის კარი გამიღო. სამწუხაროდ, ჩვენი რედაქციაც გამოდევნა პრეზიდენტმა გამომცემლობა "სამშობლოდან". ჰოდა, ახლაც, ჩემი მოკრძალებული კალმით შეუპოვრად ვებრძვი სამშობლოს მოძულეებს. ვცდილობ, გავერკვე, თუ რატომ ეჯავრება ამ ხელისუფლებას საკუთარი ხალხი. არადა, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ გადაგვაჯიშონ და ფესვებიდან ამოგვძირკვონ, ქართული ჯიში და გენი წაშალონ.

– როგორ ფიქრობთ, რა არის ხელისუფლების მხრიდან ასეთი ქმედებების მიზეზი?

– რა არის იცით? ბევრად მნიშვნელოვანი პრობლემები კი აქვს ხელსიუფლებას გადასაწყვეტი, თუნდაც ამხელა ტერიტორიები რომ დაგვაკარგვინა – სამაჩაბლო, აფხაზეთი... მაგრამ, რატომღაც, არ უნდათ ქვეყნის შიგნით ეკონომიკური აღორძინება. არ სურთ ჩემი თაობის ადამიანების, პროფესიონალების დასაქმება. არადა, მართლაც უმაღლესი დონის პროფესიონალები გვყავს, რომლებიც საზღვარგარეთაც კი დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ. ამ მტავრობას ის უფრო აძლევს ხელს, რაც მეტი ადამიანი გავა საქართველოდან და ეს ქვეყანა ადვილი სამართავი გახდება.

– მოდით, იმ პრობლემებზე ვისაუბროთ, რაც დღეს ხელოვან ხალხს ექმნება საქართველოში. თქვენ მწერალთა ეროვნული კავშირის წევრი ბრძანდებით, რომელსაც დღეს უკვე საკუთარ შენობაში აღარ უშვებენ...

– რაც შეეხება მწერალთა კავშირს. რაც ხდება, დიდი უსამართლობაა, ეს შენობა მწერლებს აჩუქეს და მათი საკუთრებაა. მაგრამ ამათ რომ წაგლიჯეს, ამაში გასაკვირი არაფერია, უკვე გითხარით, ესენი დაუფარავად ებრძვიან ქართულ კულტურას, მწერლობას და საერთოდ, ყველაფერს ეროვნულს!

– და ბოლოს, რა მიგაჩნიათ ქვეყნის ყველაზე დიდი პრობლემად?

– პრობლემა და სატკივარი ერთი და ორი რომ გვქონდეს, რა გვიჭირს?

ყველაზე დიდი უბედურება ეს უწიგნური და უხერხემლო, საკუთარი ხალხის მოძულე ხელისუფლებაა. ქუჩიდან მოსული ბიჭები ჩაებღაუჭნენ ქვეყნის სადავეებს. მაგალითად, ეკონომიკის მინისტრს ქვეყნის მრეწველობაზე წარმოდგენა არა არქვს. სოფლის მეურნეობის მინისტრი ახლა სწავლობს ანაბანას და ახალი ველოსიპედის გამოგონებას აპირებს. არადა, ამ დალოცვილ მიწაზე კაცი რატომ უნდა შიმშილობდეს? არაკომპეტენტურობა ერთია, მაგრამ ის, რომ საკუთარი ხალხი სძულთ, ეჯავრებათ და დაგვცინიან, ამაზე მეტი უბედურება რა უნდა იყოს? მაგრამ ყველაზე მთავარ უბედურებად მაინც დემოგრაფიული პრობლემა მიმაჩნია.

ლელა არაბული

i1-8:Layout 1 2/17/2009 10:55 AM Page 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმობის ფურცლები

(ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიიდან)

ჯამბულ ანჩაბაძე, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკური გაერთიანება "ჩვენი აფხაზეთის" მრჩეველთა საბჭოს წევრი

ქართველებს და აფხაზებს ერთობლივი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. ამ ორი ხალხის ცხოვრება ერთ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში, ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მიედინებოდა. საუკუნეების განმავლობაში ისინი თანაბრად იზიარებდნენ გარეშე და შინაური მტრების მიერ მიყენებულ ტკივილს თუ ერთობლივი გამარჯვებებით გამოწვეულ სიხარულს.

კავკასიის ეს ორი უძველესი ხალხი ისტორიამ იმთავითვე დააკავშირა ერთმანეთს. საუკუნეების მანძილზე ერთ სახელმწიფოში გაერთიანებული მრავალი ომი გადაუხდიათ საერთო სამშობლოს დასაცავად.

იმდროინდელ ქართულ და უცხოურ წყაროებში "აფხაზეთად" არაიშვიათად იწოდებოდა ერთიანი ქართული სახელმწიფო და, შესაბამისად, ქართველი მეფეები აფხაზ მეფეებად. "აფხაზი" ნიშნავდა ზოგადად ქართველს. ეთნოტერმინის ასეთი განზოგადება თავისებური გამოხატულება იყო იმ წამყვანი როლისა, რომელიც აფხაზთა სამეფომ შეასრულა ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში.

საქართველოს ერთიანი სამეფოს არსებობის პერიოდში აფხაზი ფეოდალები, მთელი მოსახლეობა აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკას. აფხაზეთის ფეოდალური ელიტა სისტემატურად მონაწილეობდა მეფის სასახლეში დამკვიდრებულ ცერემონიებში. ესწრებოდნენ შეხვედრებს უცხო სახელმწიფოთა მოღვაწეებთან, ელჩებთან და სხვა.

მემატიანის ცნობით, საქართველოს ფეოდალური მონარქიის გაძლიერების პერიოდში ზღვისპირა ქალაქი ცხუმი ქართველთა მეფეების საზაფხულო რეზიდენცია იყო. თამარ მეფე, ზაფხულობით, ხშირად ჩადიოდა სოხუმში (ცხუმში) დასასვენებლად. აფხაზეთისადმი, აფხაზებისადმი პატივისცემის ნიშნად თამარ მეფემ თავის ერთადერთ ვაჟიშვილს მეტსახელად აფხაზური სახელი "ლაშა" დაარქვა.

აფხაზეტის კულტურული ცხოვრების ერთიან ქართულ კულტურასთან განუყოფლობაზე ნათლად მეტყველებენ აფხაზეთში აგებული ეკლესიები და სამოქალაქო ნაგებობები ქართული წარწერებით. მეცხრე საუკუნიდან, როგორც თანამედროვე აფხაზეთის, ისე მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ისტორიული "აფხაზთა სამეფო") ჩნდება ქართული ეპიგრაფიკული მასალა. გვხვდება, როგორც იურიდიული ხასიათის, ისე, სამშენებლო და მემორიალური ჯგუფის სახელები, ეპიტაფიები და ა.შ. წარწერების ძირითადი ნაწილი საეკლესიო დანიშნულებისაა, რადგან შუა საუკუნეებში ეკლესია ქართული კულტურისა და განათლების უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ დროს განსაკუთრებით დაწინაურდა ბედიის, მოქვის ილორის საეკლესიო ცენტრები, სადაც მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობდა.

ერთიანი სამეფოს ეკონომიკისა და კულტურის მაღალმა დონემ დიდი გავლენა მოახდინა აფხაზეთის მოსახლეობის სულიერ ცხოვრებაზე. აქ ქართული ენა დამწერლობის, სახელმწიფო, კანცელარიის და ღვთისმსახურების ენა იყო.

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ დასავლეთ საქართველოში განვითარებული ფეოდალური შინაომების შედეგებით კარგად ისარგებლა ოსმალეთმა და საგრძნობლად გააძლიერა თავისი გავლენა აფხაზეთში.

ამ პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობდა ქართულ ქრიატიანულ სამყაროსთან აფხაზთა გაუცხოების პროცესი.

მიუხედავად ამისა, მოწინავე ქართული საზოგადოება აფხაზეთს ტრადიციულად საერთოქართული კულტურულ-პოლიტიკური ორგანიზმის ნაწილად მიიჩნევდა.

ისტორიული და კულტურულ-პოლიტიკური ერთობის იდეა თვით აფხაზებთანაც დიდხანს ცოცხლობდა. ქართული სალიტერატურო ენა კვლავ რჩებოდა აქ საქმის წარმოებისა და ღვთისმსახურების ენად.

XIX საუკუნის დამდეგს, რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს ჯერიც დადგა. 1810 წლის 10 ივლისს რუსეთის ჯარებმა სოხუმი დაიკავეს. ეს იყო მხარის ფაქტობრივი ოკუპაცია, რომელმაც გამოიწვია სერიოზული პოლიტიკური გართულებები.

ურჩი ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე სრული კონტროლის დამყარების მიზნით, რუსეთის ხელისუფლებამ შეიმუშავა სადამსჯელო ღონისძიებათა მთელი პაკეტი. კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ 1864 წელს რუსეთის მთავრობამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და რუსული მმართველობა დაამყარა. იმავე წელს მოხუცი მთავარი მიხეილ შერვაშიძე ქალაქ ვორონეჟში გადაასახლეს და იქვე გარდაიცვალა 1865 წელს.

აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ შეეგუა რუსული მმართველობის შედეგად შექმნილ ვითარებას და 60-70-იან წლებში თურქეთში გადასახლდა. ამ პროცესს რუსეთის მთავრობა ყველანაირად უწყობდა ხელს. ხშირ შემთხვევაში გადასახლება ძალის გამოყენებით ხდებოდა. რუსეთის მთავრობამ აფხაზი ხალხი მოდალატედ გამოაცხადა. აფხაზებს ზღვისპირეთისა და სოხუმის 20-კილომეტრიან რადიუსში ეკრძალებოდათ ცხოვრება. ხმარებიდან ამოღებულ იქნა თვით სიტყვა "აფხაზეთი". მას სოხუმის ოლქი ეწოდა.

უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ მოძმე აფხაზ ხალხს, ბუნებრივია, მხარში ამოუდგა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით ასევე სევიწროებული ქართველი საზოგადოება. ქართველები მოითხოვდნენ არა მარტო აფხაზთა გადასახლების შეწყვეტას, არამედ მათ სამშობლოში დაბრუნებას.

აფხაზი ხალხის ამ ტრაგედიას გულწრფელად თანაუგრძნობდნენ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგი მესხი, გიორგი წერეთელი და სხვები.

აფხაზთა მუჰაჯირობამ გულის სიღრმემდე შეძრა ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე. ის ამ უბედურებაში რუსეთის მთავრობას ადანაშაულებდა. ილიას თქმით ხალხი ამგვარ ნაბიჯს დგამს მაშინ, როდესაც მას აყენებენ გამოუვალ მდგომარეობაში და, ფაქტობრივად ერთადერთ არჩევანს უტოვებენ: "ან სიკვდილი საკუთარ ქვეყანაში, ან კიდევ სიცოცხლე უცხოეთში".

საქართველოს პერიოდული პრესა სისტემატურად აშუქებდა აფხაზეთში ცარიზმის მიერ დატრიალებულ მოვლენებს. ქართული საზოგადოება მოითხოვდა არა მარტო აფხაზთა გადასახლების შეწყვეტას, არამედ დაბეჯითებით ასაბუთებდა გადასახლებულ აფხაზთა დაბრუნების აუცილებლობას და ამ საქმეში მეფის ადმინისტრაციის წინაშე თავდებობასაც კისრულობდა.

აფხაზების გადასახლების შემდეგ რუსეთის მთავრობა ამ მხარის ფართომასშტაბიანი კოლონიზაციის გზას დაადგა. მუჰაჯირთა მიწებს ურიგებდა მისთვის სასურველ პირებს – მაღალი რანგის სამოქალაქო ჩინოვნიკებს და სამხედრო პირებს. თავისუფალ მიწებზე ასახლებდნენ რუსებს (კაზაკებს), სომხებს, ბერძნებს, გერმანელებს, ესტონელებს, ბულგარელებს და სხვა ერების წარმომადგენლებს. მთავრობა კატეგორიულად კრძალავდა აფხაზეთში უმიწაწყლო ქართველი გლეხების ჩამოსახლებას.

ცარიზმის მკვეთრად გამოხატულ კოლონიურ პოლიტიკას, რომლის უპირველესი მიზანი დანარჩენი საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტა იყო, ქართულ საზოგადოებასთან ერთად დაუპირისპირდა აფხაზეთის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი აფხაზთა უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის მემკვიდრის გიორგი შერვაშიძის მეთაურობით.

გიორგი შერვაშიძე ყოველთვის ხმალამოღებული იდგა თავისი დიდი სამშობლოს – ერთიანი და განუყოფელი საქართველოს და ქართული ენის სიწმინდის სადარაჯოზე. იგი საქართველოს ერთიანობაში ხედავდა თავისი სანუკვარი აფხაზეთის კეთილ მომავალს. გიორგი იყო სულით და გულით წრფელი აფხაზი, რომელსაც ჩინებულად ჰქონდა წარმოდგენილი თუ რა ტრაგიკული ბედი ეწეოდა მშობლიურ ხალხს საქართველოსგან მოწყვეტილს.

საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასევე აქტიურად იყო ჩართული არაერთი ცნობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც რუსეთი ყველანაირად ცდილობდა აფხაზეთი საქართველოსაგან მოეწყვიტა, მაგრამ იმედები გაუცრუვდა. 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთი შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიის საწყისებზე.

აღსანიშნავია, რომ 1918-1921 წლებში საქართველოში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, დემოკრატიული რესპუბლიკის საქმიანობა აფხაზეთის საკითხში წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში აფხაზეთში ქართული სახელმწიფოს იურისდიქცია არ შერყეულა.

რუსეთის ანტიქართული პოლიტიკა აფხაზეთში არც საბჭოთა პერიოდში განელებულა, პირიქით, უფრო გაძლიერდა. წლების განმავლობაში კრემლის მიერ მიზანმიმართულად მზადდებოდა ნიადაგი სეპარატისტული იდეოლოგიის დასამკვიდრებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა ვერასდროს ვერ ამჩნევდა ამ ტენდენციას. ყოველ შემთხვევაში, არაფრისმთქმელი უსუსური ღონისძიებებით იფარგლებოდა, რათა დროებით მაინც განემუხტა ვითარება, ხოლო გლობალური პრობლემების მოგვარებას თავს ვერ ართმევდა.

მოსკოვი, როგორც ყოველთვის, ხელმძღვანელობდა თავისი ნაცადი პრინციპით: "გათიშე და იბატონე", სეპარატიზმი კი ძალას იკრებდა და ძლიერდებოდა.

საბოლოოდ, მოსკოვის ზღვარსგადასული მოქმედებისა და საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების უნიათობის შედეგად დაიწყო კონფლიქტი, რომელიც ომში გადაიზარდა. ჩვენმა უფროსმა "ძმამ" უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში ყველაფერი იღონა და მიაღწია კიდეც იმას, რომ ორი უახლოესი მოდგმისა და ჯილაგის ხალხს ერთმანეთისათვის ტყვიები დაგვეშინა და ჩვენი დედები და შვილები ძაძებით შეგვემოსა.

შევარდნაძის ხელისუფლება სამშობლოდან გაძევებული საქართველოს პირველი პრეზიდენტის მომხრეების წინააღმდეგ ბრძოლით და სავარძლის შენარჩუნებით იყო დაკავებული და აფხაზეთის პრობლემებისათვის ვერ იცლიდა. არადა მას ჰქონდა შესაზლებლობა აფხაზეთში დაძაბულობა განემუხტა. ის აფხაზეთის მოვლენებში საკმაოდ კარგად იყო ჩახედული. 1978 წლის ცნობილი მოვლენების დროს მან მთელი აფხაზეთი მოიარა. შეხვედრები ჰქონდა აფხაზ მოსახლეობასთან, რომლის მნიშვნელოვან ნაწილში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ ამჯერად მან ეს არ გააკეთა სავარძლის დაკარგვის შიშით.

ამ პერიოდში შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც აფხაზეთის საკითხის დაყოვნება საქართველოსაგან მის ჩამოშორებას უფრო რეალურს ხდიდა.

საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მიერ აფხაზურ მხარესთან უფრო ენერგიული, მიზანმიმართული მუშაობის წარმართვის შემთხვევაში, რომელიც ყოველდღიურ ინტენსიურ მოლაპარაკებებში და სხვა სახის საქმიან კონტაქტებში უნდა გამოხატულიყო, დარწმუნებული ვარ, აფხაზეთი შენარჩუნებული იქნებოდა.

შევარდნაძის ხელისუფლებამ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების თვალსაზრისით წინ ერთი ნაბიჯი ვერ გადადგა. არც დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობა გამოდგა წარმატებული. გვეჩვენება, რომ ამ საკითხზე ერთიანი, პოლიტიკურად და სამართლებრივად შეჯერებული პოზიცია არ გააჩნდა.

რუსეთის მიერ აგვისტოში განხორციელებულმა ავანტიურამ და მის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ მინიმუმამდე დაიყვანა აფხაზეთის დაბრუნების პერსპექტივა. არადა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის საკითხისადმი კონსტრუქციული მიდგომა, რომელიც სამართლებრივ, ზნეობრივ და დემოკრატიულ პრინციპებზე იქნებოდა ორიენტირებული, მნიშვნელოვნად შეზღუდავდა რუსეთის აგრესიულ მოქმედებებს, ხოლო დასავლეთის ქვეყნებს მისცემდა ჩვენი ქვეყნისადმი უფრო აქტიური მხარდაჭერის შესაძლებლობას.

საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება უაღრესად სერიოზული გამოცდის წინაშე დგას. ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება რთული პროცესია, მაგრამ ათასჯერ უფრო რთული და ძნელია დაკარგული ერთიანობის აღდგენა. ჩვენ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და დავინახოთ, რომ აფხაზებს ცალსახად დამოუკიდებლობისაკენ აქვთ გეზი აღებული. ამიტომ უნდა შევეცადოთ, რომ ისინი ჩვენსკენ მოვაბრუნოთ. ბუნებრივია, ამას დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

შექმნილ სიტუაციაში მნიშვნელოვანია ნდობის აღდგენა. ორივე მხარემ ერთმანეთს მხოლოდ სიმართლე უნდა უთხრას, რამდენადაც მტკივნეული არ იყოს ის. უნდა მოხდეს ორივე მხრიდან დაშვებული სავალალო შეცდომების გულწრფელი აღიარება, ურთიერთპატივისცემის გამოხატვა. რაც მთავარია, ორივე მხარემ უნდა მიუტევოს ერთმანეთს ჩადენილი დანაშაული. პირველ რიგში, ხელისუფლებამ აფხაზებთან ნაყოფიერი მოლაპარაკებების წარმოებისა და ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების მიღწევისათვის სათანადო პირობები უნდა შექმნას. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ კონფლიქტის მოგვარების გასაღები ქართული და აფხაზური მხარეების შეთანხმებაშია. ამით სულაც არ ვაკნინებთ საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენას არსებულ ვითარებაზე.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ტერიტორიების დაბრუნება პრობლემას ვერ გადაწყვეტს. საჭიროა ორ მოძმე ხალხს შორის სულიერი ერთიანობის მიღწევა.

საქმიანი კონტაქტები უნდა დამყარდეს აფხაზეთის სამეცნიერო და შემოქმედებით ინტელიგენციასთან. აკადემიური დიალოგის პირობებში, რომელიც აგებული იქნება კეთილსიმდისიერებაზე და სიმართლეზე პოზიციების დაახლოება შეი-

გაგრძელებაა მე-4-გვ.

i1-8:Layout 1 2/17/2009 10:55 AM Page 4

ძმობის ფურცლები

(ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიიდან)

გაგრძელებაა

ძლება. უდავოა, რომ ინტელიგენციის აზრი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია. აფხაზური ინტელიგენცია წარმატებით ახერხებდა და ახერხებს დღესაც ხალხის განწყობაზე ზემოქმედებას. ამიტომ ინტელიგენციის ფაქტორი კონფლიქტის მოგვარებაში ერთ-ერტი პრიორიტეტული უნდა იყოს.

ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული სახალხო დიპლომატია – ორმხრივი ნათესაობის, მეგობრობისა და შერეული ოჯახების ფაქტორი. ხელისუფლების მიერ ეს საკითხი არ იქნა წინ წამოწეული. არადა სახალხო დიპლომატია არის ის არსებითი, რომელსაც ამოუწურავი შესაძლებლობები გააჩნია კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირებაში.

საქართველოს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს შემუშავებული ერთიანი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების გეგმა – ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების მოდელი ორივე მხარის დამცავი მექანიზმებით. აფხაზმა ხალხმა უნდა ირწმუნოს, რომ ქართველებთან ერთად ერთ სახელმწიფოში ცხოვრება მას მისცემს სრულ გარანტიას მისი ენის კულტურის, ეროვნული მეობის დაცვისათვის.

უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად მიმზიდველი გახდება საქართველოს აფხაზეთის საზოგადოებისათვის. მაგრამ ის სოციალური ფონი, რომელიც საქართველოში არსებობს, ვერ დაარწმუნებს აფხაზეთის მოსახლეობას ქართულ სახელმწიფოსთან ინტეგრირების უპირატესობაში. აფხაზეთის მოსახლეობა კონკრეტული მაგალითებით უნდა დარწმუნდეს საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის რეალობაში, რომ საქართველოს შემადგენლობაში მისი კეთილდღეობა უზრუნველყოფილი იქნება.

ხელისუფლების ძალისხმევით უნდა შეიქმნას ისეთი ბიზნეს-გარემო, სადაც აფხაზეთის საქმიანი წრეები ჩაერთვებიან. ერთიანი ეკონომიკური ინტერესების ფონზე სეპარატისტული ტენდენცია უკან დაიხევს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ხელისუფლება მეტად სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. აფხაზეთის საკითხის მოგვარებისათვის მას უაღრესად დაძაბული, მრავალმხრივი სამუშაოს ჩატარება მოუწევს. კონფლიქტი მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს, სხვა გზა არ არსებობს. საქართველო აფხაზეთის გარეშე სრულყოფილი სახელმწიფო ვერ გახდება. ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად. ამას გვაიძულებს არა მარტო წარსული და დღევანდელობა, არამედ მომავალიც.

ჩვენ არ გვაქვს უფლება წავშალოთ ერთობლივი ცხოვრებითა და თანამშრომლობით შექმნილი ესოდენ მდიდარი საუკუნოვანი ტრადიციები. ასე გაგრძელება არ შეიძლება, დროა მოვუხმოთ გონებას, დავძლიოთ დაგროვილი ბოღმა და გადავდგათ პირველი ნაბიჯები შერიგებისაკენ, თუ გვინდა, რომ მომავალმა არ შეგვაჩვენოს.

ჩანაწერები დევნილთა სამყოფელიდან

გოგი ფაცაცია

დილაადრიან დამირეკა ბატონმა როლანდ ნიჟარაძემ – თუ გცალია ბაგებში და წყნეთში ავიდეთო, დევნილებს შევხვდეთო. მე რასაკვირველია დავთანმხდი. შაბათი დღეა, 2009 წლის 7 თებერვალი. შეხვედრის დროც და ადგილიც დავთქვით. რუსთაველის მეტროსთან, რუსთაველის ძეგლთან ზუსტად 11 საათსა და 45 წუთზე ვიყავი. როლანდი უკვე იქ იყო. ბატონ გურამ ოდიშარიასაც გავუარეთ და ჩვენ სამნი ავედით ბაგებში, სტუდქალაქის დასახლებაში. შენობებში უკვე 15 წელზე მეტია აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობენ. კარგი, მზიანი ამინდი იყო და ძალიან ბევრი დევნილი ეზოში იმყოფებოდა. როგორც გაირკვა, ისინი მთავრობის წარმომადგენლებს უცდიდნენ, რომლებმაც მათ შეხვედრა დაუთქვეს 12 საათისა და 30 წუთისთვის, ამ დროს კი ჩვენ მოვედით. პირველად მათ ეგონათ, რომ ჩვენ მთავრობის წარმომადგენლები ვიყავით, მაგრამ თავი გავაცანით და ვუთხარით, რომ ჩვენ ვართ პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი აფხაზეთის“ წარმომადგენლები, ავუხსენით, რომ გვაინტერესებს მათი ცხოვრების პირობები და მათი დახმარება გვინდა. ძალიან ბევრი ჩვენი ნაცნობიც აღმოჩნდა, მათ შორის იყო იზოლდა ქვარაიაც, რომელსაც აფხაზეთში ომის პერიოდში მეუღლე დაუხვრიტეს, ხოლო თბილისში დევნილობისას კუს ტბაზე 15 წლის ბიჭი დაეხრჩო. უბედური ქალბატონი, მის დანახვაზე ცუდად გავხდი. მე მისი მეუღლის გასვენებაზე, აფხაზეთში გულრიფშის რაიონში, სოფელ ქვემო ფშაფში ვიყავი, თბილისში კი მისი შვილი სტუდქალაქიდან გავასვენეთ. საშინელებაა! და რამდენი ასეთი გაუბედურებული ადამიანი ცხოვრობს. ცხოვრება აერიათ, სახლკარი დაკარგეს და რაც კი ებადათ ყველაფერი დაატოვებინეს. რამდენს დაუსაფლავებელი და გაუპატიოსნებელი მკვდარი დარჩა აფხაზეთში?! ნათესავები დაიფანტნენ: ზოგი საქართველოშია, ზოგი უკრაინაში, ზოგიც რუსეთში და ზოგი ამერიკაში და ა.შ. ზოგი კი დღესაც აფხაზეთშია, ვერ შეელიენ მშობლიურ ადგილს. აი, ახლა აქ ვდგევარ ჩემს ხალხთან, აფხაზეთიდან დევნილებთან ჩემი მამიდაშვილი შალვა თოდუა კი სოფელ ქვემო ფშაფში მკვდარი ასვენია. სამშაბათს, 10 თებერვალს გასვენებაა. აფხაზი მეზობლები და დარჩენილი ქართველები თავს დაგვტრიალებენო – დაგვირეკა შალვას მეუღლემ, ნანულიმ. ჩვენ ვერავინ ვერ წავედით, მარტო შალვას მეუღლე და ნინო თოდუა – შალვას და წავიდა ძმის დასაფლავებაზე. ღმერთო, რა დავაშავეთ, რომ ჩვენ, ნათესავები ვერ მივდივართ ახლო ნათესავის გასვენებაზე?!

მე კი ბაგებში, სტუდქალაქში ვდგავარ ჩემს მეგობრებთან ერთად და ვისმენ დევნილების გაჭირვებული ცხოვრების ამბებს. ხშირად შუქი არ აქვთ, წყალი მე-5 სართულამდეა და ისიც ყოველთვის არა, ზედა სართულების მაცხოვრებლებს წყალი ლიფტით ააქვთ, ხოლო ლიფტს 10 თეორი სჭირდება. ოთახები ძალიან პატარაა, ერთ ოთახში 5-6 კაცი ცხოვრობს. ზედა სართულზე ავედი, აქაური ბინადრები გვიჩვენებენ თავიანთ საცხოვრებელ ოთახებს. მიკვირს როგორ ახერხებენ ეს ადამიანები, ასე სუფთად და მყუდროდ იყვნენ ასსეთ პატარა ოთახებში. შენობა გაბზარულია, ალბათ საშიშიც არის აქ ცხოვრება, მაგრამ სხვა რა გზა აქვთ? ერთი დევნილი გვეუბნება: **„ქალიშვილი და ორი ბიჭი ყავს, ბიჭები დიდები არიან 25 და 27 წლისანი, დროა დაოჯახდნენ, მაგრამ სად, სად მოიყვანონ, სად დავწვეთ?“** ზოგ დევნილს მოხუცი დედ-მამა ყავს, რიგრიგობითაც ვწევართ ლოგინშიო განაცხადა ერთმა დევნილმა, მეორე ქალბატონმა გვითხრა, რომ დედაჩემმა ვერ აიტანა ასეთი მძიმე ცხოვრება და მე-7 სართულიდან გადაეშვაო, თვალები ცრემლებით აევსო. ხოლო ერთმა დევნილმა შემოგვჩივლა გაუგონარი რამ: ხელისუფლების წარმომადგენელი მოვიდა ჩვენთან და განგვიცხადა, შვილებს ნუდარ გააჩენთ, თორემ შემდეგ აფხაზეთის მთავრობის სარჩენი იქნებაო.

წარმოვიდგინე ყველაფერი ეს და გული შემეკუმშა. მეტ თავხედობას ხომ მართლაც ვერსად მოისმენ!

ზოგს უნდა, რომ ოთახი დაუკანონონ, ესენი არიან ისინი ვინც ოჯახში ერთი ან ორნი არიან, ხოლო იმათ ვისაც სამი შვილი ყავთ და ოჯახში 4-6 კაცია არ აწყობს, რადგან ძნელია ერთ ოთახში ამდენი ადამიანის ერთად ყოფნა, ეს ჰიგიენურადაც მიუღებელია სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ. ერთი ახალგაზრდა კაცი დაახლოვებით 40 წლამდე, ომის მონაწილე, სახენაიარევი გვიყვება, რომ კანონიც არსებობს პრეზიდენტის ხელმოწერით, რომ ერთ კაცს სანიტარული ნორმით ჩვიდმეტი მ² ეკუთვნისო. მე კანონები არ ვიცი, კომუნისტების დროს ერთ კაცზე 7 თუ 9 მ² იყო. ბატონი როლანდ ნიჟარაძე ჰპირდება, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ დევნილების საკითხი მწვავედ დააყენოს ხელისუფლებისა და მთავრობის წინაშე, მათი მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება ერთ-ერთი ძირითადი საკითხი დევნილთა ყრილობაზე.

ქვევით, ეზოში ჩავედით. ხალხი იმედის თვალით შემოგვყურებს, გვითხრეს, რომ მთავრობიდან მათთან არავინ არ დადის და ისინი ახსენდებათ მხოლოდ არჩევნების წინ. მრავალი დაპირებები, რომლებსაც უხვად არიგებენ და... ამით მთავრდება ყველაფერი, მერე მორიგ არჩევნებამდე არავინ მოდის მათთან. აფხაზეთის მთავრობამ და ხელისუფლებამაც დაგვივიწყაო, ალბათ არაფერი არ შეუძლიათ, იმიტომ არ მოდიანო – თქვა ერთმა დევნილმა კაცმა. ამ სიტყვებმა დიდი ხმაური გამოიწვია. ზოგს უსაყვედურეს, რომ 10 და 20 ლარზე გაიყიდნენ. არჩევნების **„აგიტატორებს“** კი თურმე 200-200 ლარიც დაურიგესო. განწყობა ხელისუფლების მიმართ ძალიან ცუდია. ლიდერი არ გვყავს თორემ მთელი ხალხი ფეხზე დადგებაო. ლიდერის პრობლემა ნამდვილად არსებობს საქართველოში. კიდევ დიდხანს ვუსმენთ ჩვენს დევნილებს. ბატონი გურამ ოდიშარია, რომელიც უდავოდ დიდი ავტორიტეტია და პოპულარული პიროვნებაა, როგორც მწერალი და როგორც მიუკერძოებული ადამიანი ადვილად ამყარებს კონტაქტს ხალხთან და ვგრძნობ, რომ მისი სჯერათ. დავემშვიდობეთ სტუდქალაქში მცხოვრებ დევნილებს, მანქანაში ვჯდებით და მივდივართ წყნეთში, უფრო სწორად ზემო წყნეთის ერთ-ერთ დასახლებაში. შევედით დიდი კორპუსის ეზოში, მანქანიდან ჩამოვედი და ვგრძნობ, რომ რაღაც მაქანავებს. როგორც ზემოთ აღვნიშნე მზიანი ამინდი იყო და ბევრი დევნილი აივანზე ან ეზოში იმყოფებოდა, მათ შორის ბევრი ჩემი მეგობარი და ნათესავი. როგორც კი დაგვინახეს ჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობის წესით დაიწყეს მოპატიჟება. მე ჩემს თანაკურსელ ინეზა წურწუმიასთან ავედი მე-2 სართულზე, სადაც მისი შვილი, რძალი, დედამისი და მეორე ჩემი თანაკურსელი, ლალი ცანავა დამხვდა ლამაზად დალაგებულ ოთახში. **“შენი ნათლული ზაზა სამსახურშია,“** – მითხრა ინეზამ. ინეზას მუღლე გივი წურწუმია დიდი ხანი არ არის რაც გარდაიცვალა, ნათელში ამყოფოს ღმერთმა! აფხაზეთში დაბრუნების ნატვრაში აღმოხდაო სული, - ჩაილაპარაკა ინეზამ და ამოიოხრა. ვგრძნობ, რომ ცუდად ვარ. წნევა გამიზომეს და ძალიან მაღალი მქონდა. ინეზას დედამ ტაბლეტები და **„კორვალოლი“** დამალევინა. ცოტა ხნის შემდეგ კარგად ვიყავი, ალბათ სტუდქალაქის დევნილების გასაჭირმა იმოქმედა. სუფრასთან მიმიპატიჟეს და მითხრეს შენი მეგობრებიც შემოიყვანეო, ყველაფერი გვაქვს და ხაჭაპურსაც გავაკეთებთო. მაგრამ უარი ვუთხარი და ჩემს მეგობრებს შევუერთდი მეზობელ კორპუსში. რამოდენიმე ოჯახში შევედით და მოვიკითხეთ. წყნეთში შედარებით უკეთეს პირობებში არიან დევნილები. ოთახების დაკანონების იმედი აქვთ. ცოტა ხასიათზე მოვედი, წამლებმაც თავისი გააკეთეს. სოხუმიდან დევნილმა, როლანდ ნიჟარაძის ახლო მეგობარმა რეზომ იაქტიურა და თავის ბინაში შეგვიჟვანა. ძალიან კარგი ღვინო გქონია და უნდა მოგვყიდოო – გაეხუმრა როლანდი. ღვინო ბევრი მაქვს და გაგატანთო. რამდენიმე ჭიქით ოჯახი და ოჯახის წევრები, საქართველო და დევნილები ვადღეგრძელეთ, დავლოცეთ ერთმანეთიც და წამოვედით თბილისში.

გზაზე გეგმებს ვაწყობთ, რომ უნდა დავიაროთ ყველა ადგილი სადაც დევნილები ცხოვრობენ, გავეცნოთ მათ ყოფას და მივაღწიოთ მათი ცხოვრების გაუმჯობესებას. დევნილის სურვილის მიხედვით დაუკანონონ მათ საცხოვრებელი ადგილი, ხოლო ვისაც არ ყოფნით ფართი გააფართოვონ ან ფულადი კომპენსაცია მისცენ. ისეთი თანხა, რომ შეძლონ ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა. კიდევ ერთი პრობლემა აქვთ იმათ ვინც კერძო სექტორში ცხოვრობს. არავითარი დახმარება, ან ფულადი კომპენსაცია მათ მთავრობისგან არ მიუღიათ. ზოგმა სესხი აიღო, ზოგმა ვალით, თუ დანაზოგით იყიდა ბინა. მათ აფხაზეთში არაჩვეულებრივი ცხოვრება და ქონება დაკარგეს. მთავრობამ ჩაატარა მათი აფხაზეთში დაკარგული ქონების დეკლარირება. აეროფოტოგადაღებისა და დევნილების სათანადო საბუთების წარდგენის შედეგად შეიქმნა მათი ქონების საერთო სურათი. განა მათ არ ეკუთვნის ფულადი კომპენსაცია?

ცნობილია, რომ მსოფლიო საზოგადოებამ, დონორმა ქვეყნებმა, ევროკავშირმა მილიარდები გამოყვეს დევნილების დასახმარებლად არა მარტო ცხინვალის რეგიონის, არამედ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისთვისაც. მალე პოლიტიკური გაერთიანება **„ჩვენი აფხაზეთი“** ჩაატარებს დევნილების დიდ ფორუმს – ყრილობას, სადაც ყველა დევნილს შეეძლება თავისი გულისტკივილი გამოთქვას და შეახსენოს ხელისუფლებას და მთავრობას მათი მოვალეობა ხალხის წინაშე.

სამწუხაროდ ზოგიერთმა, პარლამენტში შესვლის შემდეგ დაივიწყა ხალხიც და დაპირებებიც, თავისი კეთილდღეობის გაუმჯობესებით არიან უფრო დაკავებულნი. ასე არ უნდა ხდებოდეს!

არავითარი თანამდებობა, არავითარი პირადი კეთილდღეობა, მხოლოდ ხალხის სამსახური – ასეთია პოლიტიკური გაერთიანება **„ჩვენი აფხაზეთის“** პოლიტიკური საბჭოს წევრების გადაწყვეტილება.

ვისთვის ლუკმა, ვისთვის მილიარდი...

გლობალური ფინანსური კრიზისი თითქოს ძალას კარგავს, მაგრამ, ჯერ მაინც ბობოქრობს და ცინიკურად უყოფს ენას **“ამა ქვეყნის ძლიერთ”.**

ბიბლია გვასწავლის, რომ სხვისმა უბედურებამ სიხარული არავის უნდა მოგვაროს, მაგრამ, ეს მცნება უპირველესად იმათ უნდა სცოდნოდათ, ვინც საწყალი ადამიანების ძარცვა-ყლეფით მოაგროვეს მილიარდები. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ სტენდალის სიტყვებს: **“ყოველი დიდი ქონების მიღმა იჩქმალება დანაშაული”!**

თაღლითობაც ხომ დანაშაულია, და დიახაც რომ თაღლითობას შეეწირენ მსოფლიოში ცნობილი ის მილიარდერები, რომლებმაც სწორედ ღარიბთა ყვლეფითა და საძრახისი ავანტიურით დააგროვეს დაუჯერებელი სომდიდრე.

თუ უჭირთ, ჩვენ გავუწევთ ამომწურავ კონსულტაციას, რადგან, დიდი ხანია დავივიწყეთ, თუ როგორ გამოიყურება ფულის დასტა, მაგრამ, მაინც მედგრად დავაბიჯებთ დედამიწის ზურგზე, რადგან ფული არასოდეს ყოფილა ჩვენი ორიენტირი და ადამიანობის კომპასი. იმან იკითხოს, ვისაც ფულის გარეშე ნაბიჯი არ გაედგმევინება ოჯახიდან. ასეთები კი, თურმე იმაზე მეტნი ყოფილან, ვიდრე ჩვენ გვეგონა.

ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა სია, რომელსაც ყოველწლიურად აქვეყნებს ავტორიტეტული ჟურნალი **“ფორბსი”**, შესამჩნევად დაპატარავდება. მსოფლიოს სამას მილიარდერთაგან თითოეულმა უკვე დაკარგა მილიარდ დოლარზე მეტი. ყველაზე მეტად კი, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსი მილიარდერები დაზარალდნენ და მათი **“გაღატაკების”** პროცესი კვლავაც გრძელდება.

განსაკუთრებით დრამატულად წარიმართა სამი ინდოელი მილიარდერის ბედი. ფოლადის მწარმოებელმა მაგნატმა **ლაქშმი მიტალმა**, ძმებმა **მუკეშ და ანილ ამბანებმა** და უძრავი ქონების ბაზრის ერთ-ერთმა მონოპოლისტმა **კეი პი სინგმა** ერთობლიობაში 100 მილიარდი დოლარი იზარალეს.

“ფორბსის“ ინფორმაციით, რუსი მაგნატის **ოლეგ დერიპასკას** ქონება 18 მილიარდი დოლარით შემსუბუქდა. არადა, 2008 წლის რეიტინგში **დერიპასკას** 28 მილიარდი დოლარი ჰქონდა.

ქონების სამი მეოთხედი დაკარგა ნოვოლიპეცკის მეტალურგიული კომბინატის მფლობელმა **ვლადიმერ ლისინმა**, ხოლო **“ურაკალის“** მეპატრონის **დიმიტრი რიბოლოვლევის** ქონება 90 პროცენტით შემცირდა.

მართლაც სატირლად აქვს საქმე ყოფილ ისლანდიელ მილიარდერს **ბორგოლფურ გუდმუნდსონს.** ისლანდიის სიდიდით მეორე ბანკის მთავარი მენეჯერი და აქციონერი სრული ბანკროტია. თუმცა, ბანკროტის ტიტული ბანკირებს კი არა, თითქმის ყველა იმ სახელმწიფოს ემუქრება, საკრედიტო **“საპნის ბუშტებზე”** რომ აიწყო თავისი ფინანსური სისტემა.

ამავე დროს, **“ფორბსმა”** გამოაქვეყნა იმ მსხვილი ფინანსური თაღლითების სიაც, რომელთა უკანონო საქმიანობამაც მსოფლიო საშინელ კრიზისამდე მიიყვანა. ამ სიაში პირველი ადგილი მყარად უკავია **ბერნარდ მედოფს**. სწორედ მის მიერ დატრიალებულმა აფიორების სერიამ დააქცია უამრავი წვრილი და საშუალო მეანაბრე. ამავე დროს, აფერისტად გამოცხადდა ყველა ის პიროვნება, ვინც იცოდა და არ გაამხილა **მედოფის** თაღლითური სქემა. ამ სიაში მოხვდა **რენე-ტიერი მაგონ დე ლა ვილიაშე**, რომელმაც გაკოტრების შემდეგ თავი მოიკლა. აფერისტთა სიას ავსებენ ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორიცაა **“სიტი გრუპი“, “დოიჩე ბანკი“, “ბანკ ოფ ამერიკა“** და სხვები.

i1-8:Layout 1 2/17/2009 10:55 AM Page 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია ბარათი

საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს

ბატონებო!

გაცნობებთ, რომ ჩვენ, საზოგადოება **"სამურზაყანოს"** საინიციატივო ჯგუფი, 2009 წლის 31 იანვარს შევიკრიბეთ თბილისში, რათა კიდევ ერთხელ დაგვეფიქსირებინა ჩვენი დამოკიდებულება საქართველოში უკანასკნელ ჟამს განვითარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა და არაჯანსაღი პროცესების მიმართ. ასევე, გადავწყვიტეთ, შეგვეხსენებინა თქვენთვის ენგურს გაღმა და გამოღმა მცხოვრებ გალის რაიონიდან დევნილთა სასიცოცხლო და პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემები, განსაკუთრებით კი მათი, ვინც მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და დანგრეული ფუძე აღადგინა.

სამწუხაროდ, აგვისტოს მოვლენებით შეშფოთებულ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას, ტანჯვა-წამებაში გატარებული 15 წლის შემდეგ, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჯერ ანექსიით და შემდგომ აღიარებით, საბოლოოდ დაეკარგა საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნების იმედი. სამწუხაროა ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის დიპლომატიამ კონფლიქტის მოგვარების საქმეში კრახი განიცადა, რითაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხი.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით აფხაზეთში დღეს მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს უახლოეს მომავალში, ე.წ. აფხაზეთის მოქალაქეობის მიუღებლობის შემთხვევაში მშობლიური მიწა-წყლიდან ისევ გამოძევება ემუქრებათ, ჩვენს ხელისუფლებას კი, გვეეჭვება, რომ ჰქონდეს ამ სასტიკი, ანტიადამიანური ქმედების წინააღმდეგ კონტრდონისძიების ჩატარების გეგმა. პირიქით, ზოგიერთი მაღალჩინოსანი მასმედიის საშუალებებით იმუქრება კიდეც მათ მიმართ, ვინც ობიექტურ მიზეზთა გამო ვერ შესძლებს საკუთარი კერის მიტოვებას და იძულებული შეიქმნება დროებით, კონფლიქტის საბოლოოდ მოგვარებამდე მიიღოს აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის მიერ შემოთავაზებული პირობები, ძალით თავს მოხვეული **"ქცევის წესები"**.

ჩვენ შეშფოთებული ვართ იმის გამოც, რომ ამჟამად აფხაზეთთან დამაკავშირებელი ყველა საცალფეხო ხიდი აფეთქებული და მწყობრიდან გამოსულია და თავს არავინ იტკიებს მათ აღსადგენად. იბადება კითხვა – რა უნდა ქნას გალის რაიონში მცხოვრებმა ქართველმა, მაშინ, როცა ე.წ. საქართველო-აფხაზეთის საზღვარი მავთულხლართებით და რკინაბეტონის ფილებით შემოიღობება და საზღვარი ოფიციალურ სახეს მიიღებს?

გთხოვთ გვიპასუხოთ, ვინ გადაარჩენს აფხაზეთში ქართულ ენას, ჯერ კიდევ მომქმედ ქართულ სკოლებს, სადაც ქართული ფენომენის, ქართული სახელმძღვანელოების ადგილს სწრაფი ტემპით იკავებს რუსული. ვინ დაასაქმებს, ვინ უპატრონებს იმ გალელ პედაგოგებს, რომლებიც აღნიშნული მიზეზით იძულებული შეიქმნებიან აქაურობა იძულებით დატოვონ, ან ვინ დაიცავს განათლების იმ მუშაკთა სიცოცხლეს, ვინც მიუხედავად ყველაფრისა, იქ დარჩენას გადაწყვეტენ?

დევნილი საზოგადოების უგულვებელყოფა და შეურაცხყოფაც კი არის ის, რომ აფხაზეთიდან დევნილებს არ გაგვაჩნია საკუთარი წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტატისათვის განკუთვნილი ადგილები ცარიელია. ჩვენ გვჭირდება პარლამენტში არა მოჩვენებითი და თვალთმაქცი დამცველი, არამედ უნიღბო, მართალი, სუფთა, პრინციპული, ნაღდი მეოხი, რაც საშუალებას მოგვცემს საზოგადოების წინაშე – პოლიტიკურ არენაზე გამოვიტანოთ ჩვენი ხედვა აფხაზეთის პრობლემატიკის გარშემო და მივიღოთ აქტიური მონაწილეობა მის მოგვარებაში.

ჩვენ, საზოგადოება **"სამურზაყანოს"** წევრებს მიგვაჩნია, რომ ვერანაირი ძალისხმევა, ვერანაირი რეზოლუციები, ვერანაირი ჭრელაჭრელა დონისძიებები, ქვემეხი, **"გრადი"** და ტანკი ვერ გამოიღებს შედეგს, ვიდრე ჩვენ, ქართველები, ჩვენს ძმებს – აფხაზებს ჭეშმარიტი სიყვარულით არ შევურიგდებით. დიმიტრი გულიას ეკუთვნის სიტყვები: "არა მგონია, ქართველებს ჰყავდეთ უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზები. აფხაზებსაც ასე მიაჩნიათ. ქართველები და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, "იგი თავისა მტერია". ჩვენ კი ვერ მოგვიხერხებია, რომ გორგასლის ქუჩაზე მდებარე სკვერში დადგმული ამ ჭეშმარიტად დიდი აფხაზი მწერლის ძეგლი წესრიგში მოვიყვანოთ.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის ომის დამთავრებიდან 15 წელი გავიდა, ჩვენს ტანჯვა-წამებას კი ბოლო არ უჩანს. 15 წელიწადია, რაც შორიდან შევყურებთ წინაპართა და ახლობელთა საფლავებს, მოკლებული ვართ ადამიანურ ყოფას, სიმყუდროვესა და სიმშვიდეს.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, გაითვალისწინოთ და გულთან ახლოს მიიტანოთ აფხაზეთიდან დევნილთა გულისტკივილი, გაგვხადეთ ოდნავ მეტი ყურადღების ღირსი, მშობლიური მიწა-წყლიდან აყრილებს ცოტათი მაინც შეგვიმსუბუქეთ ხვედრი.

მოგვხედეთ მანამ, ვიდრე დადგება ჟამი ჩვენი ისტორიულ საცხოვრისში დაბრუნებისა!

პატივისცემით,
საზოგადოება **"სამურზაყანოს"** საინიციტივო ჯგუფის სახელით,

მურმან ყოლბაია,
მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ჩვენი აფხაზეთის" მთავარი საბჭოს წევრი,

მას ვენდობით, მისი გვჯერა!

ამას წინათ გურამ ოდიშარიას მშვენივრად გამოცემული საუკეთესო რომანი **"შავი ზღვის ოკეანე"** გადავშალე. ეს წიგნი განსაკუთრებით მიყვარს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მასში შავი ზღვის თემა დომინირებს, ჩვენთვის კი, მოგეხსენებათ, შავი ზღვა რაოდენ მახლობელი და საყვარელია. მეორეც, წიგნის ავტორი, ცნობილი ქართველი პოეტი და პროზაიკოსი გურამ ოდიშარია ჩემი უსაყვარლესი უფროსი მეგობარია, რომელმაც, საერთო აღიარებით, ახალი სიტყვა თქვა ლიტერატურაში; მესამე და უმთავრესი – წიგნის ავტორს შენთვის მიუძღვნია ბოლო გვერდი, რომელსაც შენი ფოტოსურათი ამშვენებს წარწერით: **"თანაგრძნობისათვის, ამ წიგნის გამოცემაზე გაწეული ღვაწლისათვის ავტორი მადლობას უხდის ბატონ სერგო აბაშიძეს"**. დიახ, შენი კაცური კაცობის, მოყვასისადმი კეთილი განწყობისა და უშურველობის დასტურია ჩემთვის ეს წიგნი.

შენ ჭეშმარიტი ქართული ოჯახის შვილი ხარ, სერგო, და შენგან მსგავსი სიკეთის ქმნა პირადად ჩვენთვის და საერთოდ ყველა გაგრელისათვის გასაოცარ ფაქტად არ აღიქმება, რადგან ჩვენ, შენმა გაგრელმა მოძმეებმა, კარგად ვიცით, რომ უაღრესად გულკეთილი, საქმიანი და ალღოიანი კაცი ხარ. დიდებულად გესმის, რა როლიც ეკისრება პიროვნებას საზოგადოების წინაშე.

მოგეხსენება, დღეს ჩვენს ქვეყანაში უამრავი შეძლებული კაცი ცხოვრობს – არა, მხოლოდ იმ მადალჩინოსნებს არ ვგულისხმობ, როგორც ახლა ამბობენ, ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით რომ მოდიან და მოკლე ხანში მილიონების პატრონები რომ ხდებიან.

დიდი მადლობა უფალს, რომ ჩვენი სერგო აბაშიძე ამნაირთა კოჰორტას არ მიეკუთვნება, ჩვენ ისიც კარგად ვიცით, მავანივით მილიონებს არა ფლობ, მაგრამ რაც გაქვს, ალალი შრომის ნაყოფია და ხელშეშლილ ახლობლებს გულუხვად ახმარდი და ახმარ.

ბუნებით მოკრძალებული კაცი ხარ და რა გასაკვირია, რომ კეთილ საქმეებსაც დიდი კრძალვით, ყოველგვარი აფიშირებისა და ხმაურის გარეშე აკეთებ...

შენ არც მაშინ ხმაურობდი, ძმაო სერგო, როცა ჩვენი მეზობლისა და მეგობრის, ბიკენტი ხურიძის ვაჟს, ხვიჩას, 1989 წელს აფსუა-ქართველთა დაპირისპირების დროს მოხვედრილმა ტყვიამ ცალი კიდური რომ დააკარგვინა და პროთეზის შესაძენად დასახიჩრებული და იმედწაგვრილი ყმაწვილი კაცი საჭირო თანხით უზრუნველჰყავი და ჩეხეთში მიავლინე.

ახლა ხვიჩა ისეთივე დევნილია, როგორც მე და შენა ვართ და მთელი მისი ოჯახი გულითა და სულით უდიდეს მადლობას გიხდის გაწეული ამაგისათვის.

დღეს საქართველოში ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ქალაქ ფოთში მდებარე სასტუმრო "კოლხეთი" შენი საკუთრებაა, სადაც აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობენ.

თვითონ ვართ იმის მოწმე, შენს ბედში მყოფ თანამოძმეებს, განსაკუთრებით დევნილობის პირველ ხანებში, ვიდრე ქვეყანა გონს მოეგებოდა და დევნილებზე ზრუნვის თადარიგს დაიჭერდა, როგორ პატრონობდი ფოთში თავმოყრილ გაგრელებს, გუდაუთელებსა თუ სოხუმელებს.

მანამდეც, სანამ ბედი ასე გაგვწირავდა და ოდაბადეს დაგვატოვებინებდა, ბევრ ვინმეს ახსოვს შენი სიკეთე. ესმარებოდი გაგრაში მცხოვრებ ხელმოკლე ხალხს: ქართველებს, აფხაზებს, რუსებს, ხელს უმართავდი პენსიონერებს, მარტოხელებს.

სწორედ ამით იყო განპირობებული ხალხის შენდამი დამოკიდებულების გულწრფელობა და სითბო.

გაოცებას ის იწვევდა, რომ გიცნობდნენ ჩვენს ქალაქში მცხოვრები ნებისმიერი ეთნოსის წარმომადგენლები (გაგრაში კი ცხოვრობდნენ ქართველები, აფხაზები, სომხები, რუსები, ესტონელები). გიცნობდნენ და პატივსაც გცემდნენ. ქართველებს რომ თავისიანად მიაჩნდი, ცხადია, არავის უკვირდა, აფსუებთან შენი სიახლოვე კი მხოლოდ იმათთვის იყო გასაოცარი, ვინც არ იცოდა, რომ შენი ბებია მამის მხრიდან ემხვარის ქალი იყო და, ცხადია, მამაშენი ალექსანდრე მშვენივრად ფლობდა აფხაზურს. არც ის იწვევს ეჭვს, რომ სწორედ ამის გამო მთელი შენი ოჯახისათვის განსაკუთრებით ძნელი გახდა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის სიმძიმის გადატანა.

უახლოეს დღეებში აფხაზეთიდან დევნილი ქართველობა შეკრებას აპირებს. ათიოდე წელიწადია დევნილთა ყრილობა არ ჩატარებულა და უამრავი საჭირბოროტო საკითხი უნდა განვიხილოთ, რის გადაწყვეტასაც თვითონ შევძლებთ, გადავწყვეტთ, რაც ჩვენს შესაძლებლობას აღემატება, მათ მოგვარებას ხელისუფლებისაგან მოვითხოვთ.

ამ ყრილობაზე აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს და საუბრითაც ვიჯერებთ გულს.

ჩვენო ძმაო სერგო, ვიცით, რომ თქვენ ხართ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება **"ჩვენი აფხაზეთის"** ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ვიმედოვნებთ, ეს მოძრაობა თავის სიტყვას იტყვის ქართულ პოლიტიკაში და შეძლებს დიალოგის დაწყებას აფხაზებთან, რაც წინაპირობა იქნება ქართველთა და აფხაზთა შერიგებისა და თანაცხოვრებისა. ჩვენ ვიცით, რომ დიდ პატივს გცემენ საკუთრივ აფხაზები, გენდობიან და სჯერათ თქვენი სიტყვის.

ჩვენ, გაგრიდან დევნილები, ვართ თქვენთან, გვიყვარხართ და პატივს გცემთ.

გაგრიდან დევნილთა სახელით

ნოდარ ხუნდაძე
ვალერ ლუხუტაშვილი
ამირან დოლიძე
კანდიტ ჩარკვიანი
მიხეილ ქორქია



i1-8:Layout 1 2/17/2009 10:55 AM Page 6

ძმობა გადარჩება

მახსენდება აფხაზი მწერლის მიხეილ ლაკერბაის ერთ-ერთი ნოველის ნიშანდობლივი ეპიზოდი: ორი ძმა უბრად იყვნენ ერთმანეთის მიმართ და ემტერებოდნენ კიდეც ერთმანეთს. ერთმა მათგანმა გადაწყვიტა, რომ მეგობრები და ახლობლები გამოეცადა. დაიარა ყველანი და შესჩიოდა: კაცი შემომაკვდა და დამმალეთო. არავინ შეიფარა იგი. ბოლოს ძმას მიადგა იგივე თხოვნით.

– ნუ გეშინია, ჩემთან ვერავინ მოგაგნებს. საბძელში დაგმალავ, საჭმელს და სასმელს არ მოგაკლებ! – ამ სიტყვებით ანუგეშა მის მიერ მტრად მიჩნეულმა ძმამ.

აფხაზეთის ომის დღეებში აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობაში მსგავსი ფაქტები მრავლად დაფიქსირდა. საუბედუროდ, სისხლი რეალურად დაიღვარა, მაგრამ მაღალი ზნეობის ადამიანებმა ეს მაღალი ზნეობა მაინც შეინარჩუნეს.

მახსენდება აფხაზეთი, ჩემი სოფელი ოთხარა, ჩემი აჩანდარელი მეგობრები... საერთოდ, აფხაზი მეგობრები არ დამვიწყებია, არცერთი აფხაზი ოჯახი, რომლის ფაცხაში დიდი სტუმართმოყვარეობით ტაბლაზე დაგებული ღომი, ყველი და ღვინო – არომატული იზაბელა მიმიღია. ტკბილი, ძალიან ტკბილი მოგონებებია ეს.

ალბათ, ასეთი განცდა აქვს აფხაზეთიდან გამოსულ ყველა ქართველს, რადგან, მიუხედავად მომხდარისა, აფხაზთა მიმართ მაინც სიკეთე ამოძრავებს მას.

იცის ქართველობამ, რა მდგომარეობაშიც დღეს აფხაზობა იმყოფება. რამდენი თანამოგვარე, თანამოძმე და ნათესავი აფხაზი ჰყავს ქართველს აფხაზეთში? და განა გასაკვირია, რომ, გული არ შეგტკიოდეს მათი მომავალი ბედის გამო?

ომის მიზეზების, მსვლელობის ანალიზისაგან თავს შევიკავებ, ეს ვრცელი თემაა და მრავალმხრივ სადავო. ერთს ვიტყვი მხოლოდ: ომი არ უნდოდა არც რიგით აფხაზს და არც რიგით ქართველს, ომი აფხაზეთში გამოიწვია საერთაშორისო გავლენის სფეროების მორიგმა გადანაწილებამ, ხოლო მისი მაპროვოცირებელნი იყვნენ აფხაზეთში მყოფი ორივე ეროვნების, და მთლიანად საქართველოში მყოფი ეროვნულ ნიღბებს ამოფარებული სხვადასხვა ქვეყნის აგენტები. და ეს აგენტები, ინსტრუქციამიღებულნი, აქეთ გვიწოდებდნენ აგენტებს იმათ, ვინც ქადაგებდა შემწყვეტარებლობას.

1992 წლის აგვისტოში მაინც დაიწყო ომი. მისი თავიდან აცილება, მთელი რიგი მიზეზების გამო, ვერც გონივრულად მოაზროვნე ქართველებმა და ვერც გონივრულად მოაზროვნე აფხაზებმა ვერ შეძლეს. ჩვენ იმასღა ვახერხებდით, რომ ამ საერთო უბედურების დროს, ამ საერთო ტრაგედიის დროს, როგორც შეგვეძლო, ერთმანეთს ვეხმარებოდით, ერთმანეთს ვუნარჩუნებდით სიცოცხლეს.

ყველა ის აფხაზი, ვინც თუნდაც ერთი ქართველის სიცოცხლე გადაარჩინა, გმირია და ყველა ის ქართველი, რომელმაც თუნდაც ერთი აფხაზის სიცოცხლე გადაარჩინა, ასევე გმირია.

ვისაც გახსოვთ, გაიხსენეთ, ჩემო ძმებო და დებო აფხაზებო, რამდენი მიგაცილეთ გუმისთის ხიდამხე, გუდაუთამდე, რამდენი გადაგიყვანეთ კატარღებით, და პირადად მიგაცილეთ, რომ იტყვიან, იმ ავლადიდებით, რომლის წაღებასაც ახერხებდით. მე ამით ჩემს ადამიანურ ვალდებულებას ვასრულებდი მხოლოდ. ჩვენც ყველანი გვახსოვხართ, ვინც თქვენი მხრიდან ამგვარ მაღალ ადამიანურ მოვალეობას ასრულებდა.

ღმერთის წინაშე დიდი მადლია სიკეთის ქმნა!

ჩვენი ურთიერთდამოკიდებულებათა შედარება მაინც მინდა მოვახდინო დალის (კოდორის) ხეობის მაგალითზე.

დალის მიმართულებით, ვიცი, არა აფხაზთა სურვილით, მაგრამ მაინც რამდენჯერმე განხორციელდა შეტევა. მე გახლდით იქ ყველაზე კრიტიკულ მომენტში. მარტო 1993 წლის 27 ნოემბერს 2-ათასკაციანი შენაერთის შემოტევა გავიხსენოთ. ჩვენ მოვიგერიეთ ეს შემოტევები.

დალიდან კი არც ერთი ზიანი აფხაზური დასახლებებისათვის არავის მიუყენებია. იქაური სვანები აქეთ მეუბნებოდნენ: ჩვენ და აფხაზები მხოლოდ მეზობლები კი არა, ნათესავებიც ვართ, მოყვრებიც ვართ და ნათესავებთან და მოყვრებთან ბრძოლას უნდა მოვერიდოთო, ჩვენ იარაღი იმიტომ ავიღეთ, რომ აფხაზეთში შემოსულ გადამთიელებთან გვებრძოლაო...

და ეს განწყობა ქართველობაში შენარჩუნებულია.

მაშ, ძმობა გადარჩება!

რა ვქნათ ახლა, ძმებო, აფხაზებო! ვიბრძოლოთ და თავი დავიღუპოთ, თუ შევრიგდეთ და ერთმანეთი გადავარჩინოთ, ჩვენი ეროვნულობა გადავარჩინოთ ამ გლობალიზაციის ეპოქაში?

თქმა არ უნდა, ბრძენი აფხაზი გაგვიგებს – ქართველებმა და აფხაზებმა ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ!

მაგრამ როგორ?

როგორც ძმა იცავს ძმის ინტერესებს, ჩვენც ისე უნდა ვიმოქმედოთ, ამიტომ მშობლიური კერებიდან გამოძევებულნი თავის სამკვიდროს უნდა დავუბრუნოთ, მათ ახლობელთა საფლავები ელოდებათ, ზეცად ასული სულები ჩვენგან სამართალსა და ურთიერთმიტევებას ელოდებიან.

მე მხარს ვუჭერ ყველა იმ ძალას, ვინც ქართველთა და აფხაზთა შერიგების რეალურ მიდგომას გამოძებნის და შემოგვთავაზებს გაწონასწორებული პოლიტიკის გატარებას: მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებთან ერთნაირი დონის თანამშრომლობას და ჩვენთვის უმთავრეს პრინციპს – ეროვნული ღირებულებების პრიორიტეტულობით ხელმძღვანელობას.

მაშ, ვიღვაწოთ ერთად, ძმებო აფხაზებო, ეს პრინციპები ჩვენთვის ხომ საერთოა.

აკაკი გასვიანი,
სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია "ლემის" თავმჯდომარე, კავკასიის ხალხთა უხუცესთა საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, მწერალთა კავშირის წევრი

თაღლითობის დიდოსტატები

ჩვენი ხელისუფლების გადამკიდეებს როგორ შეიძლება ვინმეს თაღლითობამ გაგვაკვირვოს. სად არ შეხვდებით აქ თაღლითებს: ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სოციალურ და ჯანდაცვის სფეროებში, ლტოლვილთა უზრუნველყოფაში, ხელისუფლების მიერ ლობირებულ ბიზნესწრეებში, ძალოვან თუ არაძალოვან სტრუქტურებში...

მაგრამ, როგორც ჩანს, თაღლითებსაც გააჩნიათ გარკვეული რანგები და გრადაციები. თუ ჩვენი თაღლითები უფრო ძალისმიერი მეთოდებით მოქმედებენ და გარანტირებულები არიან იმით, რომ უმაღლესი ხელისუფლის მიერ ხელის დაფარებითა თუ წაყრუებით მათ არავითარი სასჯელი არ ემუქრებათ, ამერიკელი და ევროპელი თაღლითები უფრო "დახვეწილი" მეთოდებით მოქმედებენ, რათა სამართლიან სასჯელს როგორმე აარიდონ თავი. თაღლითობის ერთ-ერთი ასეთი დიდოსტატი გახლდათ ვინმე ვიქტორ ლუსტიგი, რომელიც 1890 წელს დაიბადა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ თაღლითად ითვლება, რომელსაც ოდესმე დედამიწაზე უცხოვრია. იგი გამუდმებით რაღაც აფიორებს იგონებდა, ჰქონდა ორმოცდაათამდე ფსევდონიმი და თავისუფლად ფლობდა ხუთ ენას. მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში ლუსტიგი ორმოცდაათჯერ დააკავეს, თუმცა მხილებათა არასაკმარისობის გამო ყოველთვის ათავისუფლებდნენ. პირველ მსოფლიო ომამდე მისი ვიწრო "სპეციალიზაცია" იყო ტრანსატლანტიკურ მოგზაურობებში თაღლითური ლატარიების მოწყობა. მისი ყველაზე გრანდიოზული აფერა კი ეიფელის კოშკის გაყიდვა იყო.

1925 წელს ლუსტიგი, ფათერაკების ძიებაში, პარიზში ჩავიდა და ერთ-ერთ გაზეთში წაიკითხა, რომ ეიფელის კოშკი შეილახა და შეკეთებას საჭიროებს. ლუსტიკმა გადაწყვიტა ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა და ყალბი სიგელები დაამზადა, თითქოსდა საფრანგეთის ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრის მოადგილე იყო, ხოლო სიგელის ასლი ჯართის ექვს ჩამბარებელს ოფიციალურად გაუგზავნა. შემდეგ ლუსტიკმა ლიდერები ძვირფას სასტუმროში მიიწვია და უამბო, რომ ეიფელის კოშკის შენახვის ხარჯი იმდენად დიდია, რომ მთავრობამ მისი ჯართად გაყიდვა გადაწყვიტა... დახურულ აუქციონზე – თითქოსდა იმ მიზეზით, რათა საზოგადოებრიობაში, რომელსაც კოშკი შეუყვარდა, უკმაყოფილება არ გამოეწვიათ. ლუსტიგმა საქმოსნები დაიყოლია, ამბავი საიდუმლოდ შეენახათ. ცოტა ხანში მან კოშკის უტილიზების უფლება ანდრე პუასონს მიჰყიდა და ნაღდი ფულით დატენილი ჩემოდნით ავსტრიაში გაიქცა. პუასონმა, რომელსაც თავის სულელად წარმოჩენა სულაც არ უნდოდა, მოტყუების ფაქტი დამალა. ამის წყალობით, ლუსტიგი ცოტა ხანში კვლავ დაბრუნდა პარიზში და კოშკი იგივე სქემით... კვლავ გაყიდა. მაგრამ ამ ჯერზე არ გაუმართლა, ვინაიდან მოტყუებულმა ბიზნესმენმა პოლიციას მიმართა და თაღლითი იძულებული გახდა ამერიკაში გაქცეულიყო.

1935 წლის დეკემბერში ლუსტიგი დააპატიმრეს და გაასამართლეს დოლარების გაყალბებისათვის. მას 15 წელი მიუსაჯეს, 5 წელი კი განაჩენის გამოტანამდე ერთი თვით ადრე სხვა ციხიდან გაქცევისათვის "წაუმატეს". იგი 1947 პნევმონიით გარდაიცვალა ალკატრასის ცნობილ ციხეში, სან-ფრანცისკოს მახლობლად.

გ ი ხ ა რ ო დ ე ნ ?!

გაზეთ **"ილორის"** მკითხველს გვინდა შევახსენოთ, მეოცე საუკუნის დასარულს, ედუარდ შევარდნაძის თავკაცობით შექმნილი "მოქალაქეთა კავშირის" მიერ ანგაჟირებულ ხელოვანთათვის შეკვეთილი ლექსი "გიხაროდენ", რომელზეც, შემდგომ, ასევე ანგაჟირებულმა "მუსიკოსებმა" ქვეყნის მძარცველ მაოხრებელი " მოქკავშირის" შეკვეთით შექმნეს პოლიტიკურ-თაღლითური ჰიმნი "გიხაროდენ". თუ მეხსიერება არ გვღალატობს, ამ პოლიტიკურ ჰიმნს მაშინ ყველაზე დიდი მონდომებით მღეროდნენ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, შევარდნაძის ნათლული, მოგვიანებით ოპოზიციაში გაბარგებული მიხეილ სააკაშვილი და ანსამბლ **"სახეს"** სოლისტი გოგა ხაჩიძე, რომელსაც ამჟამად საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის თანამდებობა უკავია. ალბათ იცოდა მომღერალმა გოგა ხაჩიძემ, რომ მისი პოლიტიკურ-შემოქმედებითი აქტივობა "დაუფასდებოდა" და ამიტომაც მღეროდა ასეთი მონდომებით.

ამ მართლაც სამარცხვინო და ამაზრზენ მოტივზე უკეთეს პაროდიას ვერავინ შექმნიდა ისე მოხდენილად, როგორც ეს გააკეთა სენაკის რაიონის სოფელ ზანას მკვიდრმა, ქალბატონმა **ნარგიზა ვეკუამ**.

გიხაროდენ!

გიხაროდენ, ასე მშვიდად რომ ვკვდებით,
გიხაროდენ, ცოლ-შვილი რომ შიმშილობს,
გიხაროდენ, რომ შენს საქმეს უშენოდ,
სხვა აკეთებს, შენზე უფრო უტვინო!
გიხაროდეთ, გიხაროდეთ, გიხაროდეთ!
რომ გმარხავენ უპუროდ და უღვინოდ
გეშინოდეთ, გეშინოდეთ, გეშინოდეთ,
ქართველობა გადაშენდეს უძიროდ!

გლობალური დათბობა დედამიწის რამდენიმე უბანს ემუქრება

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ინფორმაციით, გლობალური დათბობა დედამიწის რამდენიმე უბნის ბუნებრივ სიმდიდრეებს განადგურებით ემუქრება. მათ შორისაა დიდი ბარიერული რიფი (ავსტრალია), ამაზონის ჭარბტენიანი ტყეები და მექსიკის უდაბნო.

როგორც ფონდის ექსპერტები აცხადებენ, გლობალურ დათბობას პლანეტის ათ რეგიონში საგანგაშო ცვლილებები უკვე მოჰყვა. მაგალითად, მარჯნის რიფებმა ბუნებრივი ფერის დაკარგვა და კვდომა დაიწყეს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მექსიკის საზღვარზე მდებარე ჩიხუახუას უდაბნოს, სადაც 2500 უნიკალური სახეობის მცენარე ხარობს, განადგურება ემუქრება. ამის მიზეზი დაუსრულებელი გვალვები და ტერიტორიის საბალახოდ გამოყენებაა. კარიბის ზღვაში მობინადრე კუს შვიდი სახეობიდან ექვსი გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამის მიზეზი ყინულების დნობით გამოწვეული ზღვის დონის ზრდა და მათი საბუდარი ადგილების დაჭაობებაა.

ტიბეტის ზეგანზე მდებარე მყინვარები, რომლებიც წყლით კვებავენ მდინარე იანძის, ასევე დნება. არასახარბიელო ვითარებაა შექმნილი დედამიწის სხვა უბნებზეც.

ექსპერტების შეფასებით, გლობალური დათბობის პროცესის შენელება და გაკონტროლება გარემოში გამონაბოლქვი აირების შემცირების გზით არის შესაძლებელი.

ამ თვალსაზრისით, დედამიწის ყველაზე დიდი დამბინძურებელი და ნავთობის ყველაზე დიდი მომხმარებელი ამერიკის შეერთებული შტატებია.

i1-8:Layout 1 2/17/2009 10:55 AM Page 7

ერეკლეული ბიბლიოთეკა

კუჩხა

შობა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულებს შორის, სამეგრელოსა და სამურზაყანოში დაბადებულთათვის **„კუჩხა“** – მამაპაპისეულ ეზო-კართან, მტერ-მოყვარესთან, წინაპართა სასაფლაოსთან, ოდაბადესთან, ბავშვობასთან, მეგობრებთან და მეზობლებთან (და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ რამესთან!..) დაკავშირებული დღესასწაულია.

– გასული აგვისტოს ტრაგედიის შემდეგ, საშინელი საინფორმაციო გრიგალიც დაგვატყდა თავს, საკუთარ ყოფას რომ გვიმძიმებდა... ზოგან ისეთ რამესაც მოისმენდი, ყურს არ ვუჯერებდით – **„ჩვენ რა გვიჭირს, ისინი ნახეთ რა დღეში არიანო!..“** თითქოს, **სხვის თავს დატეხილი ჩვენზე მეტი უბედურება**, ჩვენ რაიმეს გვიმსუბუქებდეს...

ლტოლვილებს, საბანკო რა გაგვაჩნია, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც გვიწევს სახალხო ბანკში მისვლა დახმარების მისაღებად. იქ ვხვდებით ახალი და ძველი ნაცნობები, ახალი და ძველი მეზობლები ერთმანეთს. რას არ გაიგონებ იქ, ჭორი და მართალი ძნელი გასარჩევია. 17 წელი ადამიანი რას არ მიეჩვევა და ჩვენ მათ დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ, მაგრამ ახალი წლის წინა დღეებში გაგონილი, მაინც ყველას მძიმედ მოგვხვდა გულზე.

... თურმე, ვიღაცას ზუსტად დაუთვლია რამდენი ქართველი, აფხაზი და სომეხი დარჩა აფხაზეთის ტერიტორიაზე 2008 წლის მონაცემებით. ინფორმატორი სიამაყით ყვებოდა, რომ **„...ჩვენ 40 ათასი ვართ, აფხაზები 60 და სომხები 80 ათასი არიან დარჩენილი. ჩვენ თუ მხარი არ დავუჭირეთ, მომავალ არჩევნებზე აფხაზებს დედა ეტირებათ, სომხები მოვლენ მთავრობაშიო!..“**

– ჩვენ სოფელი არ მიგვიტოვებია აფხაზეთში, მეუღლე დარჩა იქ ორ შვილთან ერთად, დანარჩენი ორი კი თბილისში მყავს წამოყვანილი. უმცროსი ასთმიანია, იქ მისი მოვლა ძნელია, თორემ იქაურობას არც დავტოვებდით. მონაცვლეობით ჩავდივართ მე – **„ოდაბადეს“**, ის კი **დედაქალაქში**.

– არ ვაპირებდი საახალწლოდ ჩასვლას, მაგრამ ბანკში მოსული არამკითხე ინფორმატორის **„სასიხარულო“** განცხადებამ აფხაზების მოსალოდნელი **„დედის ტირების შესახებ“** არ დამაყენა და მეუღლეს შევუთვალე – აუცილებლად უნდა ჩამოვიდე მეთქი!

მთელი დღეები, **კუჩხა დილაუთენია** მედგა თვალწინ – ბაბუა-ჩემი, ოჯახის ყველაზე პატარა წევრთან ერთად **„ქუჩუჩით“** – საკუთარ ეზოში მოწეული ღვინის დოქით, თეფშზე დაყრილი ხურდა ფულ-გარეული ღერღილით ხელში, როგორ ამოიღებდა ჭიდან წყალს, შემოივლიდა ეზო კარს, სასიმინდეს, საქონლის სადგომს, ღერღილს მიაფრქვევდა ყველგან და სახლის კარებს მოადგებოდა კაკუნით – სამჯერ შესძახებდა **„კარი გომინჯი!“** იქიდანაც სამჯერ შეეხმიანებოდნენ **„მუ მოიღუ!“** და სამჯერ ჩამოთვლიდა: **„სიკეთე, ადამიანის და საქონლის გამრავლება, ხვავი და ბარაქა, კეთილნათესავების და მეზობლების ჯანმრთელობა, გახარება და მშვიდობა!..“**

... მე კი, იმ დაწყევლილი დღიდან ყურში ჩამკიოდა: **„ჩვენ რა გვიჭირს, აფხაზებს დედა ეტირებათო!..“** ერთი სული მქონდა როდის ჩავიდოდი ტყვარჩელში და დავუვლიდი ყველა მეზობელს, განაწყენებულს თუ კეთილგანწყობილს, დავუჩოქებდი და ვთხოვდი ჩემი დებო და ძმებო, დედებო და მამებო, შვილებო – მივუტევოთ და მოვეფეროთ ერთმანეთს, თორემ ჩვენი საერთო მტერი ყველგან დაგვყვება და დაგვცინის – **თბილისში, სოხუმში, ტყვარჩელში, ზუგდიდში, მოსკოვში, ევროპასა და ამერიკაში...** დავივიწყოთ ყველაფერი, მტერს ნუ გავახარებთ!..

...13 იანვარს, ენგურის ხიდზე პირველი საკონტროლო პუნქტი მის მარცხენა ნაპირზე გავიარეთ. პასპორტი დამრჩენოდა სახლში, მხოლოდ სამსახურის საბუთი მქონდა თან, რომ ელსადგურის ლაბორატორიაში ვმუშაობდი. შეწუხებულმა ავტობუსის მძღოლს გავანდე ჩემი გასაჭირი. **„დარდი ნუ გაქვს, მანქანაში დარჩი მე ვეტყვი და ისე გაგიყვანო“.** არ მომეწონა მისი თავდაჯერებულობა, მაგრამ მაინც დავყევი და ავტობუსში დავრჩი.

რუსი სამხედროების და მებაჟეების ხმაური იდგა გარეთ. ერთი, მომცრო ტანის სამხედროფორმიანი, გაღიზიანებული უღრენდა ისედაც დაშინებულ ქალებს და მოხუცებს, ეტყობოდა აფხაზი უნდა ყოფილიყო... ჯერ რუსებმა შეამოწმეს ქვემოთ ჩასულები. ავტობუსის სალონში რომ მნახეს, მიყვირეს – რატომ არ ჩამოდიხარ, არ გეკადრებაო?!. - ინვალიდი ვარ სიარული მიჭირს მეთქი! რუსებს არაფერი უთქვამთ, მაგრამ ის აფხაზი შემოვარდა ლანძღვა-გინებით: **„გაეთრიეთ აქედან, შენმა ქართველებმა გიმკურნალონ! გაეთრიეთ ყველანი ჩვენი მიწიდან! უფლება რომ მქონდეს ყველას ერთიანად დაგხვრეტდით!“**

მომხდარით გაოგნებულს, თვალწინ ახალი წლის წინა დღეები და სახალხო ბანკის რიგში დაუპატიჟებლად მოსული მამლაყინწა აგიტატორი დამიდგა, ყველას გასაგონად რომ ყვებოდა: **„ჩვენ რა გვიჭირს, აფხაზებს დედა ეტირებათო!..“**

დიდხანს იჯერა გული ჩვენი ლანძღვა–გინებით **“სახალხობანკელი” აგიტატორის აფხაზმა „სულიერმა ძმამ“**. ბოლოს ყველაფერი მოგვარდა.

***

...14 იანვრის **„კუჩხა“** დილას მეკვლემ სამჯერ დააკაკუნა კარებზე, სამჯერ შევაგებეთ რა მოგაქვსო, სამჯერ ისურვა ყველაფერთან ერთად:

„სიკეთე, ადამიანის და საქონლის გამრავლება, ხვავი და ბარაქა, კეთილნათესავების და მეზობლების გახარება, ჯანმრთელობა და მშვიდობა!..“

დიდია ჩვენი ოდაბადე სოფელი აფხაზეთში.

წელს, მხოლოდ სამ ქართულ ოჯახში შემოუარა ეზო-კარს **„ქუჩუჩით“** ხელდამშვენებულმა მეკვლემ და კეთილნათესავებზე ასჯერ მეტი აფხაზი მეზობლის **„...გახარება, ჯანმრთელობა და მშვიდობა ისურვა!..**

დავით ქობალია

P.S. *ჩემმა თანამოსაუბრე ქალბატონმა არ ისურვა სახელის და გვარის გამჟღავნება – „არ ვიცი რომელი მხარე გამოიყენებს ჩემს ნათქვამს და პროვოკაციას მომიწყობენო!..“*

ნასვამმა ქართველმა დიპლომატებმა ტაქსისტი სცემეს და რესტორანი დალეწეს

ქართველი დიპლომატები პრაღაში სკანდალში გაეხვნენ. ჩეხეთის ტელევიზიის ინფორმაციით თებერვალს, დილის საათებში პრაღაში სამ ქართველ დიპლომატს ტაქსის მძღოლთან კონფლიქტი მოუვიდა, ქართველები მძღოლს საცემრად გაეკიდნენ, მან კი, რესტორანში დამალვა სცადა.

ქართველები მძღოლს რესტორანში შეჰყვნენ, სადაც ჩხუბი გაგრძელდა და რესტორანს მატერიალური ზარალი მიადგა. პოლიციამ ქართველები, რომელთაც დიპლომატიური პასპორტები ჰქონდათ, ვერ დააკავა.

ქართველების ეს **“თავის გამოჩენა”** ჩეხეთის ტელევიზიის შუადღის და საღამოს ამბებში გაშუქდა. ეს ინფორმაცია ვრცელდება ჩეხეთის ინტერნეტსაიტზეც **WWW.tv.nova.cz.** სტატიაში წერია, რომ პოლიციამ დიპლომატები გაუშვა მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნასვემები იყვნენ.

“ოთხივე ძალიან ნასვამი იყო, უჭირდათ ლაპარაკი და ორიენტაცია (მოძრაობა). პოლიციამ კი, როცა დიპლომატიური პასპორტები ნახა, იძულებული გახდა ერთ საათში გაეშვათ დანაშაულის ადგილიდან.” ერთ-ერთი ახალგაზრდა, რომელსაც ბორკილები მოხსნეს, პოლიციის ფოტოგრაფის მიმართულებით წავიდა აპარატის წასართმევად, მაგრამ ის ადგილზე მისულმა სხვა დიპლომატებმა შეაჩერეს.

“როცა ყველა მანქანაში ჩაჯდა, საჭეს ნასვამი ქალბატონი მიუჯდა. როცა პოლიციას შევეკითხეთ – კი, მაგრამ, ამ ნასვამს ქალაქში უშვებთო? პოლიციამ გვითხრა, უფლება არა გვაქვს დავაკაოთო”, – აღნიშნული იყო ინტერნეტ-სტატიაში. სტატიის ავტორი იქვე მიანიშნებდა, რომ ტაქსის მძღოლი სასამართლოში აპირებს ჩივილს, დაზარალებული რესტორნის მეპატრონეს კი ასეთი გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

ინციდენტის დეტალები ასეთია: ტაქსის მძღოლი საქართველოს დიპლომატიური კორპუსის მანქანის წინ **“ცუდად”** ჩადგა და როცა ქართველები გამოვიდნენ თავისი მანქანით, წინ მდგომი ტაქსი მსუბუქად **“გაჩოჩეს”,** ისე, რომ ტაქსს გაუტყდა ფარები და სხვა ნაწილები დასცვივდა.

ამის შემდეგ ტაქსის მძღოლი გადმოხტა საკუთარი მანქანიდან და ჩხუბი დაიწყო. ქართველი დიპლომატები კი მას საცემრად გაეკიდნენ, რომელიც შიშით რესტორან **“უ კარლაში”** შევარდნილა. ის კაცი გალახეს და ჩხუბის დროს დაუმტვრევიათ რესტორნის ვიტრინები, მაგიდები და ჭურჭელი. შემთხვევის ადგილზე მისულა პოლიცია და მოჩხუბრები დაუკავებია. მათი დაკავების სიუჟეტი ტელევიზიით აჩვენეს, იუწყება **WWW.tv.nova.cz.**

თუმცა, შემდეგ პოლიციამ როცა მათი დიპლომატიური პასპორტები ნახა, გამოუშვეს.

დაკავებულები იყვნენ: ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, ე.წ. **“შარჟ დე ფეერ”** (სავარაუდოდ საჭესთან სწორედ ეს ქალბატონი იჯდა), მისი მეუღლე, ერტი ოჯახის წევრი და კიდევ ერთი ქართველი დიპლომატი. ავტომობილი საელჩოსი იყო, ქართული დიპლომატიური კორპუსის ნომრებით..

ცნობისათვის, ჩეხეთში საქართველოს ელჩად ნინო ნაკაშიძე დაინიშნა, მაგრამ ის ჯერჯერობით თბილისში იმყოფება. ელჩის მოვალეობას კი პრაღაში მისი შემცვლელი ასრულებს.

შედეგად, მართალია, ქართველი დიპლომატები იმუნიტეტმა გადაარჩინა, მაგრამ ჩეხეთის მასმედიამ კადრები და ფოტოები გაავრცელა. თანაც, რესტორნის და ტაქსის მფლობელებმა ერტობლივი საჩივრები შეიტანეს. უფრო მეტიც, როგორც ჩეხური ინტერნეტ-საიტი გვამცნობს, ნაცემი ტაქსის მძღოლი ფიზიკური და მატერიალური ზარალის გამო საქართველოს მთავრობასი ჩივილს აპირებს. დამტვრეულ რესტორანს დაზიანებული კარის გამო მთელი ღამე პოლიცია ყარაულობდა.

ამ ინციდენტს არ უარყოფს საქართველოს საგარეო უწყება, თუმცა მათ მიერ მოწოდებული იმფორმაცია არა ქართველი დიპლომატების, არამედ ჩეხი ტაქსისტის ბრალეულობას ამტკიცებს. ანუ, ქართველები კი არ ეცნენ ტაქსის მძღოლს საცემრად, პირიქით, რკინის კეტით შეიარაღებული მძღოლი წამოვიდა ქართული დიპლომატიური მანქანისაკენ და შედეგადაც, **“ჩეხი ტაქსის მძღოლი აანაზღაურებს საელჩოს მანქანისათვის, საელჩოს თანამშრომლის ჯანმრთელობისათვის და ინციდენტის სხვა მონაწილეთათვის მიყენებულ მორალურ ზარალს”.**

“ჩვენი ქვეყნის იმიჯი ისედაც შერყეულია, ყველამ იცის, რომ, მაგალითად, ავსტრიაში პატიმრების მესამედი ქართველები არიან, გერმანიაში სპეციალურად ქართული წარწერებია – “ფრთხილად იყავით, კამერები ჩართულიაო”. ალბათ ჩეხეთიდან ქართველ დიპლომატებს გამოიწვევენ და ამას ჩეხეთი მოითხოვს” – განაცხადა ქართველმა პოლიტოლოგმა რამაზ კლიმიაშვილმა.

აფხაზეთო, ჩემო დარდო

აფხაზეთო, ჩემო დარდო
ქართველთ გულის
ტკივილო,
ნეტავი თუ მოვესწრები
ისევ ჩვენად გიხილო.

მოვიდე და ჩაგეხუტო,
მოგირჩინო იარა,
ქართველების საფიცარო,
მარტო ჩემი კი არა.

როგორ მინდა მოგეფერო,
შენს ქუჩებში ვიარო,
ყველა ბუჩქი დაგიკოცნო,
დარდი გაგიზიარო.

ზღვისპირეთი მოვიარო,
დავტკბე შენი ალერსით,
აფხაზეთი ქართულია,
ნეტავ რატომ არ ესმით?

რად არ ესმით წინაპართა,
მეგობრობა ოდითგან,
შერვაშიძის პატარძალი,
დადიანთა მოდგმიდან.

ძიძა-მორდუს ადათ-წესი
ერთიანი რომ გვქონდა,
ერთად შრომას
მიჩვეულებს,
კვალიც ერთად
გაგვქონდა.

ერთად გვქონდა ოდა,
ფაცხა,
საბოსტნე თუ საყანო,
ახლოს იყო ოდიშიდან
ჩვენი სამურზაყანო.

ერთი გვქონდა ჭირიც, ლხინიც,
გვათოვდა თუ გვაწვიმდა,
კვლავ ცხოვრება ერთად,
ძმურად
ნუთუ მართლა არ გინდათ?!

ნარგიზა ვეკუა,
სენაკის რაიონი,
სოფელი ზანა.

თქვენს სამსახურშია

გამოცდილი იურისტი

გიორგი ქოიავა,

რომელიც გამოთქვამს სრულ მზადყოფნას, ნებისმიერ დროს გაუწიოს უფასო იურიდიული კონსულტაცია დევნილ მოსახლეობას. ბატონი გიორგი ქოიავა წლების განმავლობაში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებში, აქვს საადვოკატო მუშაობის დიდი გამოცდილება

ისარგებლეთ მისი მომსახურეობით!

i1-8:Layout 1 2/17/2009 10:55 AM Page 8

საინფორმაციო გვერდი

მოსკოვი მადლობას გვიხდის

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართულ მხარეს საქართველოდან რუსეთში ე.წ. "დუხობორების" რეპატრიაციის საკითხში გაწეული დახმარებისათვის მადლობას უხდის.

რუსეთის საგარეო უწყების განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2008 წლის დეკემბერში საქართველოდან რუსეთში 63 დუხობორი გადასახლდა. სამინისტროს ინფორმაციით, მხარეებს შორის არაფორმალური შეთანხმებით, თბილისში დეკემბერში რუსული სამუშაო ჯგუფი იმყოფებოდა, რომლის წევრებსაც ქართული მხარე რეპატრიაციის პრაქტიკული საკითხების მოგვარებაში დაეხმარა.

დუხობორები რუსეთში სომხეთის გავლით გაემგზავრნენ.

მსჯავრდებულები გაუსაძლისი პირობების გამო საიას დახმარებას სთხოვენ

მსჯავრდებულები საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სასჯელაღსრულების სპეციალურ დაწესებულებებში არსებული გაუსაძლისი პირობების გამო სასწრაფო დახმარებასა და თანადგომას ითხოვენ. აღნიშნულ საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში, ამას წინათ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ თამარ ხიდაშელმა სპეციალური ბრიფინგი გამართა. როგორც ცნობილია, ამ ორგანიზაციას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 საპყრობილედან წერილობით 34 მსჯავრდებულმა მიმართა.

განცხადებაზე ხელმოწერით მსჯავრდებულები ერთხმად ადასტურებდნენ სასჯელაღსულების დაწესებულებაში არსებულ გაუსაძლის პირობებს, რაც მათივე თქმით, დაწესებულების ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებაში, მძიმე სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებში და ადექვატური სამედიცინო მომსახურეობის უგულვებელყოფაში გამოიხატებოდა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ აღნიშნულ დაწესებულებაში ექსპერტები მიავლინა და არსებული მდგომარეობა ადგილზევე შეისწავლა. მათი განცხადებით დადასტურდა, რომ გაუსაძლის პირობებთან დაკავშირებით მსჯავრდებულების მიერ მოწოდებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება.

იუმორი

ორი გურული შეხვდა ერთმანეთს.

– რაფერ ხარ, ძამა? – ჰკითხა ერთმა.

– გადასარევად! შენ რაფერ ხარ?

– მე გადევირიე უკვე!

ბენზინის ჩასასხმელთან მიდი მანქანა.

– უნდა გაგაფრთხილო, რომ დღეიდან ჩვენთან საწვავი გაძვირდა! – აფრთხილებს მძღოლს ბენზინის ჩამსხმელი.

– კეთილი, მაშინ გუშინდელი ფასით ჩამისხი 50 ლიტრი!

სკოლაში მასწავლებელი მოსწავლეს აფრთხილებს:

– თამაზ, იმედია დღეს აღარ დავინახავ, თუ როგორ იწერ საკონტროლო დავალებას შემი ამხანაგისაგან!

– მეც მაგისი იმედი მაქვს, მასწ...

ეს საინტერესოა

განგსტერული რეალობა

ერთია კინოსურათი, მეორეა ცხოვრება. მით უფრო, როცა საქმე კრიმინალს ეხება, მაგრამ ყველაზე მძაფრი კინო მაშინ არის, როცა რეალობას ასახავს. ამიტომაც, ბევრი პოპულარული კინოგმირი რეალური განგსტერი იყო, თანაც სტილის კანონმდებლებადაც მოგვევლინენ. მაგალითად, ჰემფრი ბოგარტიმ მოკლე პალტო განგსტერების სამოსად აქცია. სიცილიურმა მაფიამ კი სერიოზულად დააინტერესა მოდის ინდუსტრია. კამორა – ნეაპოლში, საკრა კორონა უნიტა – აპულიაში და ნდრანგეტა – კალაბრიაში, კადრს მიღმა დარჩნენ. სამაგიეროდ, მაფიოზები: სალვატორე ჯულიანო იტალიელ რობინ ჰუდად იქცა და რამდენჯერმე გახდა რეჟისორების მუზა. ამერიკაში ფესვები ყველაზე კარგად სიცილიურმა "კოზა ნოსტრამ" გაიდგა, სადაც მწერლის, მარიო პიუზოს, ყურადღება მიიპყრო და 1969 წელს დაიბადა რომანი დონ კორლეონეზე. ინტერვიუში მწერალმა აღიარა, რომ დონ კორლეონეში იტალიელი მაფიოზი სალვადორე ჯულიანო იგულისხმა. ალ პაჩინომ და მარლონ ბრანდომ კი ჯულიანო ლამის მამაკაცური სიძლიერის ხატად აქციეს. კინემატოგრაფში სამუდამოდ გაითქვა სახელი ჩიკაგოს ავტორიტეტულმა ბოსმა ფრენკ კოსტელომ. "ერთხელ ამერიკაში" კი, ცნობილი განგსტერის, მაიერ ლანსკის, გამო გადაიღეს, რომელიც სახელგანთქმული ბანდის "მარდეს ინსის" ბოსი იყო. ცნობილია, რომ რობერტ დე ნირომ მასთან შეხვედრაც კი მოითხოვა, რათა უკეთ "ჩამჯდარიყო" როლში, მაგრამ მკაცრი უარი მიიღო. მსახიობი იძულებული გახდა, მთავარი გმირის სახე რეალური ორიენტირის გარეშე შეექმნა. არავინ იცის, კმაყოფილი დარჩა თუა არა ბატონი მაიერ ლანსკი ეკრანული პროტოტიპით, მაგრამ ფაქტია, რომ დე ნირომ საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

არსებობს თუ არა ტელეპათია?

ალბათ შეგინიშნავთ, რომ ზოგჯერ ახლობლების უსიტყვოდ გესმით, მათ ავადმყოფობას ასობით კილომეტრის სიშორიდანაც კი გრძნობთ, თუ დიდი ბედნიერება ეწვიათ, სხვა ქალაქშიც რომ იყოთ, თქვენც გული სიხარულით გევსებათ. ხშირად გაგხსენებიათ ძველი ნაცნობი და მეორე დღეს შემთხვევით შეხვედრიხართ, ან გულში გაგივლიათ – ამა და ამ ადგილას მელიანო და თურმე მართლაც გელოდნენ. ამის გამო ამბობენ, ტანმა მიაზრა, გულმა მიგრძნოო. რა შეიძლება დაერქვას ამ მოვლენას, ტელეპათია? ბევრი მეცნიერი აღიარებს ტელეპათიის არსებობას, ბევრიც უარყოფს. მართალია, ეს ცდებით ვერ მტკიცდება, მაგრამ ამის თაობაზე მოსაზრებები მაინც არსებობს.

ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ნებისმიერ ცოცხალ არსებას ან ნივთს გარდ აკრავს განსაკუთრებული ველი, რომელიც ნაკლებად არის შესწავლილი, თუმცა ცნობილია, რომ მათ შეუძლიათ გარკვეულ მანძილზე ინფორმაციის გადაცემა. როცა ადამიანი ფიქრობს, ტვინი გამოიმუშავებს სიგნალებს, რომლებიც სივრცეში ასხივებენ, ამიტომ მეორე ადამიანს შეუძლია მისი მიღება. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რას უკავშირდება ეს მოვლენა, თუმცა აესებობს ვერსია – ადამიანები ვიდრე ალაპარაკდებოდნენ, მანამ ამ სიგჰნალებით ურტიერთობდნენ ისევე, როგორც ახლა ცხოველები. შესაძლოა, ეს იყო დამცავი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ახლობლებს მოახლოებულ ხიფათს ვატყობინებთ.

ამგვარად, მეცნიერება ცნობს თუ არა, ეს მოვლენა მაინც არსებობს.

კახა ბენდუქიძე სამთავრობო გუნდში აღარ მუშაობს

საქართველოს მთავრობის აპარატის ყოფილი ხელმძღვანელი **კახა ბენდუქიძე** სამთავრობო გუნდში მოღვაწეობის გაგრძელებაზე უარს აცხადებს.

მისივე ინფორმაციით ბენდუქიძემ პრემიერ-მინისტრის მრჩეველის შეთავაზებულ თანამდებობაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ არ აპირებს, პრემიერის მრჩეველი იყოს, რადგან სხვა გეგმები აქვს.

რაც შეეხება ბიზნესში დაბრუნების შესაძლებლობას, როგორც ყოფილი მაღალჩინოსანი აცხადებს, ის დიდი ხანია წავიდა ბიზნესიდან, რომელიც რუსეთში ჰქონდა და ახლა აპირებს დასახლდეს თბილისში.

ამასთან ბენდუქიძე ოპოზიციაში გადასვლასაც გამორიცხავს.

როგორც ცნობილია, რამდენიმე ხნის წინ ბენდუქიძემ **"ვრემია ნოვისტისათვის"** მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ შეიძლება საქართველოს მთავრობას კონსულტაციები გაუწიოს და ამ მიზნით იგეგმებოდა პოლიტიკური ცენტრის შექმნა. "არ ვფიქრობ, რომ აუცილებელია მისი ფორმალიზება", – განაცხადა კახა ბენდუქიძემ და დასძინა, რომ "მზად არის რჩევები გასცეს".

ცნობისათვის, კახა ბენდუქიძე 90-იან წლებში რუსეთში ბიზნესით იყო დაკავებული. იგი ხელმძღვანელობდა გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნების დირექტორთა საბჭოს, სადაც აქციათა 25,93 პროცენტი ეკუთვნოდა. 2004 წელს მან თავისი წილი გაყიდა და საქართველოში გამოემგზავრა. კახა ბენდუქიძეს საქართველოს ეკონომიკური რეფორმების მინისტრის თანამდებობა ეკავა. ამ პოსტიდან ის მოგვიანებით მთავრობის კანცელარიის უფროსად გადაიყვანეს. რამდენიმე დღის წინ კი მან ეს პოსტიც დატოვა.

ბოლო წლებში სწორედ ბენდუქიძე მოიაზრებოდა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად განმსაზღვრელად, რის გამოც ოპოზიცია ხელისუფლებიდან მის წასვლას დიდი ხნის განმავლობაში უშედეგოდ მოითხოვდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკური განვითარების მოქმედი მინისტრი ლაშა ჟვანია ბენდუქიძის მთავრობის კანცელარიის უფროსის პოსტიდან განთავისუფლებას გამინისტრების დღიდან მოითხოვდა. როგორც ცნობილია, ლაშა ჟვანიამ ტყეების გასხვისების პროცესი შეაჩერა, რომლის უკანაც, გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ ბენდუქიძე იდგა.

ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ბენდუქიძე უკვე ქართული მეცნიერების აღორძინებაზე და ახალგაზრდების განათლებაზე იზრუნებს და მოღვაწეობას გააგრძელებს მის მიერ დაფუძნებულ "ცოდნის ფონდში".

კბილის ექიმის მიერ შეშინებული ბავშვი მოკვდა

საშინელი და უაზრო შემთხვევა მოხდა ბრიტანეთში. კბილის ექიმთან ვიზიტის შემდეგ პატარა გოგონას ისე შეეშინდა, რომ პირს აღარ აღებდა და შედეგად შიმშილით მოკვდა.

რვა წლის სოფი უელერს ექიმმა ერთ ჯერზე რვა სარძევე კბილი ამოაცალა. ამის შემდეგ გოგონამ საჭმელ-სასმელზე და ლაპარაკზე უარი თქვა, პირს აღარ აღებდა და ექიმთან სტუმრობიდან 23-ე დღეს თირკმელების უკმარისობით გარდაიცვალა.

როგორც ბრიტანული "თაიმსი" აღნიშნავს, გოგონა 2005 წელს დაიღუპა, მაგრამ მტყუან-მართლის გარჩევა დღემდე გრძელდება.

გარდაცვლილი ბავშვის დედის ჯანეთ უელერის თქმით, კბილის ექიმის შიში გოგონას 4 წლის ასაკში გაუჩნდა, როდესაც დანტისტთან პირველი ვიზიტის დროს ექიმმა მას ენა დაუზიანა.

ამიტომ, სარძევე კბილი რომ მოუგამფალდა, ბავშვი ექიმთან მისვლაზე უარს ამბობდა. მიუხედავად ამისა, მშობლებმა მაინც მიიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ექიმმა ტასმინ ჰირლმა მას ყველა სარძევე კბილი დააძრო.

ოპერაციის სემდეგ შვილის დანახვაზე მშობლებს გული გაუსკდათ. გოგონამ საავადმყოფოში 11 დღე გაატარა, ამასთან, საკვების მიღება მხოლოდ სპეციალური ზონდით შეეძლო. შინ დაბრუნების შემდეგ პირს საჭმელადაც კი აღარ აღებდა და, მშობლები ძალით რომ აძლევდნენ საჭმელს, აღარ ყლაპავდა მას.

გოგონას დედ-მამამ საავადმყოფოს მეორედ რომ მიმართა, ფსიქოლოგმა კერი დევიდსონმა ისინი დაარწმუნა, რომ ბავშვი

ამბები

მალე გამოჯანმრთელდებოდა და მიღება შემდეგი კვირისათვის დანიშნა.

მშობლების განმეორებით სატელეფონო ზარების პასუხად იგი კვლავაც მათ დამშვიდებას ცდილობდა და მოგვიანებით სტუმრობას ჰპირდებოდა.

ამასობაში გოგონამ წონაში კლება დაიწყო, სიარული შეწყვიტა, თმის ცვენა დაეწყო. გამოძიების თანახმად მან 11 კილოგრამი, წონის მესამედი დაიკლო. 2005 წლის 2 დეკემბერს იგი საკუთარ საწოლში მკვდარი ნახეს.

ბავშვის მამის თქმით, ექიმებისათვის ყური რომ არ ეგდო და შვილი საავადმყოფოში მიეყვანა, მის გადარჩენას ალბათ შესძლებდა.

ავსტრალიელები დაკარგულებსა და ცეცხლის წამკიდებლებს ეძებენ

ავსტრალიის ხელისუფლები ტყის ხანძრების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანებს, გარდა ამისა, ტყისთვის ცეცხლის განზრახ წაკიდებაში ეჭვმიტანილებსაც ეძებენ. ოფიციალური მონაცემებით, დაღუპულთა რიცხვმა 180-ს მიაღწია, თუმცა, ათობით ადამიანი კვლავინდებურად უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

ხანძრის მიზეზების გამოძიებაში 100-მდე პოლიციელი ჩაერთო, რომლებიც ჯგუფ **"ფენიქსის"** შემადგენლობაში არიან გაერთიანებული.

ავსტრალიის კანონების თანახმად, ცეცხლის გაჩენა, რასაც ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა, 25-წლიანი პატიმრობით ისჯება. ტყისათვის ცეცხლის განზრახ ან დაუდევრობით გაჩენას 15 წლით პატიმრობა შეიძლება მოჰყვეს.

პოლიციის მონაცემებით, მრავალი ხანძარი განზრახ ცეცხლის წაკიდებით დაიწყო.

დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარე ავსტრალიაში, სადაც ამჟამად ცხელი ზაფხულია, ჰაერის ტემპერატურამ რამდენადმე დაიკლო. ამასთან, ვიქტორიის შტატში, ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კვლავინდებურად ცეცხლის 10 კერა სრულიად გაუკონტროლებელი რჩება. მათგან, ხანძარი რამდენიმე ქალაქსაც ემუქრება.

სარედაქციო ჯოლეგია

რედაქციის მისამართია:
თბილისი, მესამე ნადიჯვარის 11

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციამ შესაძლოა გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებს

E-MAIL:
ELISABETTHAL@.DE
ANAKLIA@.WEB.DE